

კაჟა ეტჷისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2019



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 10

2019



მთ. რედაქტორი

რევაზ მიწველაძე

მწერალი, ფილოლოგიის
დოქტორი, პროფესორი,
რუსთაველის პრემიის
ლაურეატი, ნობელის პრემიის
ნომინანტი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიბაჰოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-673-7 (10 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, როგორც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლი იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, როგორც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გურაალთა, მენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს გურაალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურებატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გურაალთა მენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერო-სამენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკომედი, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვინიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგომა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგვიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდაული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველუქავი მისწოლია... მათ იცინან იმ ოქმებსა დღამიწვის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„ბულცინვალ შუნვლი ჟოველ ჟეპას, ჟოველ
კაბეპას.“**

ა. პუშკინი

**წინასიტყვაობის მაბიერ
(გავრძელება)**

„ხილვა: მარიამ ღვთისმშობელი“ ანას და იოაკიმეს მიერ მარიამის ტაძრად მიყვანებას ეხება. პოეტის ხილვები ქრისტეს მოციქულების ირგვლივ ტრიადებს: ესენი არიან მარკოზი და მათე (ხილვა: მარკოზი და მათე).

სულის თვალი ქალდეაში ეზეკიელ წინასწარმეტყველს ჭვრეტს: „უფლის სულით ამაღლებულთ დავითის და მოსეს ძეთა (მათ სანთლებად მზე იკმეის) ქალდეაში, დევნილ ძმებთან, ვხედავ მტირალ ეზეკიელს“ (ხილვა: ეზეკიელი ქალდეაში).

ცის გახსნის სიხარული, ეზეკიელივით ციურ ხილვებს ზიარებული სულის აღმაფრენაა ღექსში „წიგნი – „ნათელხილვა“: „ჩაიარეს დაისებმა, მათრო-



ბელა იერთ. სიხარულის ცა იხსნება და მე ვხედავ ციურ ხილვებს, ვითა ეზეკიელი“.

პოეტს ათასწლეულებიდან, ასწლეულებიდან ევლინებიან მოხუცი ჰომეროსი (ვხედავ მოხუც ჰომეროსს), პროკლე დიადოხოსი, იოანე მინჩხი (წყვილადს ათასწლეულთა), ბიბლიური იპოლიტე რომაელი, ბესიკ გაბაშვილი (გუნდი სერაფიმების), აიეტი... (ღელავს პრონტო).

ეს ხილვები ზოგჯერ სიმბოლურ-აღვებორიულ ელფერს იღებს: „რაც განგებით იხილე, ცოცხალ პოეტს ამქვეყნად, ღირსებია არავის: ვარდის ელვარება და სისპეტაკე კარავის“ (რაც განგებით იხილე).

ვარდი ქრისტეს, კარავი მარიამის სიმბოლოებია.

პოეტს ესმოდა რემისა და რომულის გამზრდელი მგლის ყმუილი, ოდისევსის დაკლული ჰელიოსის ხარების ბღავილი, ჯვარზე გაკრული ქრისტეს კვნესა, სერაფიმთა, ქურუბიმთა, ანგელოზთა ხმა, ციური გალობა, რუსთაველის და ცურტაველის ხმა, ჩუმი, უხმო ძახილი ცის და ღამის მიღმიდან, ქურუბიმთა, სერაფიმთა ფრთების ფათქუნი, ხმა უფლის და სატანის.

ხილვა და ჭკრეტა მრავალგზის ტრანსცენდენტურ სამყაროს უკავშირდება: „ისმენ ციურ გალობას და ბელს მაინც ემღერი, კაცი, რკინის მკვნეტე



ლი, სადღაც ტრანსცენდენტურბში იღუმაღად მჭვრეტელი“ (ისმენ ციურ გალობას).

„პოეტი კლდეებს ფშენიდა“ „წყაროსთავის“ ძიებაში, ეძახდა უფლის საბრძანებელი, სურდა ეხილა „ცანი ცათანი“.

უსასტიკესი ბრძოლისთვის, „სადიდგოროდ“ ემზადებოდა, ბოროტეულთ მუსრს ავლებდა, აქილევსით ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა, რადგან ქუსლი კი არა, ფარი ჰქონდა ძღვევამოსილი მეომრის: „წინაპართა ძახილს უსმენს, ესმარება ზენა ქარი, რომ გაავლოს ქაჯებს მუსრი. მას აქვს აქილევსის ფარი, არა ქუსლი“ (მას აქვს აქილევსის ფარი).

ამიტომაც პარისი (აქილევსის მკვლელი) ვერ

პოეზიის რაინდის შხამიანი ისრით დაჭრას. ვაჟა ეგრისელის პოეტური სითამამე, მისი სიტყვის „სეისმური ძალა“ კარგად ჩანს შემდეგ სტრიქონებში: „ცა გაცვია ახალუხად, მთვარე გხურავს ოქროს ქუდად, ოქროს ქამრად ეღვას ირტყამ. სამყაროა შენი სული, ეს იმიტომ, ქართულ სიტყვას ძალა შესწევს სეისმური“ (მთვარე გხურავს სვანურ ქუდად).

უფლის წყარო დის „კოლხურ ფსალმუნებში“, უფლის კვერთხის სასწაულები სინათლით, მზით არწყულებს სულს: „მეცხრე ციდან ჩამოსული სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა „ბრძენი დივინოს“: კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ მოსესა-



ვით, უფლის წყარომ რომ იდინოს“ (მეცხრე ციდან ჩამოსული).

წინაპართა მაღალი მორალის გამოთავისებელი, სულის მკურნავი ლექსების ავტორი გვმოდვრავს: „რადგან ხატებად მოხველ ყოვლის შემქმნელი ღმერთის, აღარ გიმტყუნოს გეშმა, ვინც არ აკეთებს კეთილს, თავის გზით მიჰყავს ეშმას“ (რადგან ხატებად მოხველ).

ადამის ძის ვაღს მრავალგზის შეგვახსენებს: „ადამის ძის დიდი ვალი სულის ცამდე ატანაა და იქიდან მიწას შერთვის. სიძულვილი სატანაა, სიყვარული არის ღმერთი“ (ადამის ძის დიდი ვალი).

ბნელისთვის ნათლის, სიძულვილისათვის სიყვარულის დაპირისპირება, ცხოვრებისეული ცდომილებებზე ამადლება მუდამ იყო ჭეშმარიტი პოეზიის მიზანი და გამარჯვების უპირველესი გარანტია: „შენ ხარ ხელმწიფე და წყვდიადში ნათელს ამეფებ. მიჰყვები დღეებს მზის კარებიანს. თუმც ზოგ-ზოგები სიძულვილის ლაფში ჩაეფლნენ, შენ საუკუნის ჭუჭყი აღარ მიგკარებია“ (შენ ხარ ხელმწიფე).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, მხოლოდ უზენაესისგან შთაგონებულ სიბრძნეს გვაზიარა, იგავებით და ენიგმებით მოგვაწოდა სულის თვალით განჭვრეტილი ჭეშმარიტებები.

მოსესავით რწმენის გადასარჩენად წაუძღვა ერს, მოსესავით გათელა უდაბნოს გზები, მოსესავით რი-



დემანდით მოიბურა სახე და როგორც მოსეს სჯულის ფიცარი, ისე ებოძა უფლისგან მადლცხებული „იქმენ ნათელი“.

პოეტის სულიერი საგზალია ბიბლია, წინასწარმეტყველთა, ღვთისმეტყველთა სიბრძნე, ანტიკური ფილოსოფია, მითოლოგია, ქართული და უცხოური კლასიკური პოეზია, პრეისტორიის უღრანები და მეცნიერულად განჭვრეტილი ისტორია.

მისი მზერა სწვდება აღმოსავლეთს და დასავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს, პოლუსებს, მიწას და ზეცას, ხილულს და უხილავს, ტრანსცენდენტურ პლანეტებს. ზეცის მოხილვის პარალელურად, დანტესავით ჯოჯოხეთსაც ეახლება, „ცისკენ მზირალ საუკუნეს“ მაჯას უსინჯავს.

მოვლილი აქვს „ისტორიის ჯუნგლები და ტრამალები“, „თარიღების უსიერი ტყე“, მოკრებილი აქვს ზღვების, ოკეანეების, ქარიშხლების ძალა, ხილული და უხილავი გზების მარადიული მეზავრია, მარადიული სული... ტრანსცენდენტურ პლანეტებში დაეხეტება და თან მიაქვს „მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი...“

პოეტი ცხრათავიანი დევების დამრბევია ფშაველი გენიოსივით, „შურის და მტრობის ცხრათავიან გველემშაპს“ ებრძვის, ვეფხვის ნახტომი აქვს, „ქართული პოეზიის ნადირია“ და უღრანებში ბნელს ეომება, ბუნაგებში მხეცებს აწიოკებს, სცილას და ქარიბდას



თავს აღწევს, თვით სირინოზებს ატყვევებს საღვთო გალობით, ოდისევსივით ცალთვალა ციკლოპს გაეპარება პოეზიით, ქვესკნელიდან აყეფებულ ცერბერს აფრთხობს, ცხოვრებას ღომს ათვინიერებს, კიკლოპების შიშს ამარცხებს და მათ ძალას თავის სამსახურში აყენებს, სიტყვის ქვით აგებს მიკენის არქიტექტურის პრინციპით პოეზიის სასახლეს... როგორც კადმოსი, ურჩხულის კბილებივით თესავს ლექსებს, მარდუქივით ხელთ უპყრია ცის და მიწის სადავე, ჰერმესივით ცის და მიწის შიკრიკია.

სირინოზების, სცილასა და ქარიბდას დამარცხების ძალა იყო რწმენის ერთგულება: „ჩემი დიდი საესავი რწმენა არ გადარიბდა, დავალწიე კიდევ თავი ზღვაში მღერალ სირინოზებს, სცილასა და ქარიბდას“ (ჩემი დიდი საესავი).

წინაპრები იმპულს გადასცემენ, მაგრამ ყოველთვის იცნობიერებს, წინ ვინ უძლოდა, საიდან გამოვიდა, სად შეჩერდა შორეული თუ ახლობელი წინამორბედი, განჭვრეტს, საიდან უნდა დაიწყოს და როგორი გზები ელის. მერე კი მიუშვებს სადავეს და ხილულის მიღმა, ტრანსცენდენტურში, ზესთასფეროებში დააჭენებს, „მერანს მიაავთანდილებს“, „სიყვარულის ღურჯფრთიანი ჰეგასით“ პარნასი, სინას მთა, ჰიმალაი და ანდები აქვს მოვლილი.



პოეტის რაშები, პეგასები, ბუცეფალები, თეთრონები, სპეტაკი ცხენები „სადღაც შორეთიდან“ მოჰქრიან და პარნასზე მკვიდრდებიან.

როცა თვალს ვადევნებთ მისი პოეტური სულის ქროლვას შორეთში, ვრწმუნდებით, რომ ახალ საფეხურზეა „აღმართმავლობა ქართული სულისა...“

„მარადისობა“ „შუბივით“ უპყრია ხელთ, წინ მზე მიუძღვის „კეისარივით“.

„ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავია...“ „პოეტი არის მათათა მოლაშქრე“, „ზღვის წიადმავალი“, მოგზაური, მოხეტე, მებადური, მონადირე, მენავეთმოძღვარი, ბიბლიურ მოსესავით „რწმენის საჭით“ ზღვის გადამლახავი, ქარის დამურვებელი და ზღვაში კოშკის ამგები.

მისი დიდი მოგზაურობის მარშრუტია მთა, ზღვა, მიწა, ზეცა, სამყარო, ისტორიის უღრანები, ტრანსცენდენტური პლანეტები, კოსმიური ცა.

„მე ვარ საფრანგეთი“, ამბობდა პოლ კლოდელი.

„მე ვარ სამყარო“, აცხადებს ვაჟა ეგრისელი და ვინც მის ტიტანურ ტომეულებს“ ჩაუღრმავდება, ამ სიტყვების ჭეშმარიტებას უყოყმანოდ ირწმუნებს.

იგი მსოფლიოსკენ, ცისკენ თავისი „მამულის შუაკერიდან“ მიიწევს, ადგილის დედის ძალით, კირკესა და არესის ჭალებში დაკრეფილი ნაყოფით, სულიწმინდის მადლით არის გაბრძნობილი.



აწვალებს როგორც ეროვნული, ისე საკაცობრიო პრობლემები, გათავისებული აქვს მთელი პლანეტის სატკივრები და მიკროკოსმოსში მაკროკოსმოსს ჭვრეტს: „ყველა მიწის მტვერია, ვინც მშობლიურს არ ყვარობს და ეს ციციქნა კერია ჩემთვის არის სამყარო...“

ვაჟა ეგრისელისთვის „მსოფლიო დიდი წიგნია და საქართველოა მისი თავფურცელი“.

საღვთოა მისი სიბრძნე, სიყვარული, მამულიშვილური გრძნობა, იგი მოვლენებს უზენაესის უცდომელი გადასახედიდან აფასებს.

პოეტის პატრიოტული შედევრები, მისი ეროვნული იდეოლოგია ემსახურება ერთ უმთავრეს მიზანს ეძებოს მომავალში გასაღწევი გზები, გაისივრძეგანოს სამშობლოს წარსული, აწმყო, მერმისი. მის ლექსებში შემთხვევით არ გაკრთება ვახტანგ მეფის ფეხის ნადგამ წმინდა მიწაზე დამკვიდრების მოსურნეთა ოდიოზური სახეები, შემთხვევით არ ელანდება ქართლში უცხოთა გადაპარსული თავი ან „ვიწრო თვალი მონგოლის...“ არც „ლოტოფაგები“ დაწერილია სხვათა შორის. არც დავით მეფის განწირული ძახილის მოსმენაა გაფრთხილების მუხტისგან თავისუფალი: „ტაოსკარს მოადგნენო თურქნი“ (აჭარაში).

ახალი დროის აღა-მაჰმად-ხანის შემცნობს, გულისტკივილით აღმოხდება: „აღა კი არა, სხვა მაჰმად-ხანი ჩემს საქართველოს ადებს ყადაღას და



კვლავ ხუნდს ადგამს და სურს ქართულ სუელს თავი მოჰკვეთოს. სად ხარ სადაღა, სად ხარ, ხუდაღა...“

ასე მოუხმობს პოეტი ჩვენი სისხლისმსმელი მტრის მკვლელებს.

სამშობლოს მაჯაზე უდევს ხელი, მის გულისცემას უსმენს, ეროვნული გენისა და გონის გადამრჩენის დიდ მისიას თავსიდებს და მისი „შემორაგული“ და „შემოსარგვი“ ტერმინები მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტის მატარებელია.

პოეტისთვის, „მამული განა მიწაა, ის თაფლით სავსე ფიჭაა და ამბრის სურნელი ასდის“ (ხსოვნას ვფიცავარ დედის).

ვაჟა ეგრისელი იზიარებს მოსაზრებას, რომ ქართველები ბიბლიურ ქალდეველთა შთამომავლები არიან, პოეტი აფართოებს ქვეყნის არამარტო გეოგრაფიულ არეალს, არამედ გონის სივრცესაც: „ნილოსთან, განგთან თუ ფაზისთან, სხვის არა, მზის სამოსახლოა და კოლხეთს არ უჩანს სამანი და ვხედავ ცასთან რა ახლოა, ბაბილონი, მცხეთა და ქანაანი“ (ნილოსთან, განგთან თუ ფაზისთან).

ამასთან, გაუნელებელი დარდის მდინარე დის პოეტის სტრიქონებში სამშობლოს უნუგეშო აწმყოთი ნასაზრდოები: „საქართველო ჯვარს გაკრული არის იესო და მის კვართს ჩუმად ინაწილებენ, ხმის გამცემი კი არ ჩანს არავინ“.



მითიური ამირანის ცეცხლით, სიყვარულით, გოლიათის შემართებით ემსახურება სამშობლოს: „ამირანის ცეცხლი გბუგავს, სიყვარულის ბოლი დაგდის, მხსნელად თავზე ცა გახურავს. და დგახარ, ვით გოლიათი, მშობელ ქვეყნის სამსახურად“ (ამირანის ცეცხლი გბუგავს).

„მამული ღმერთია“, სამყაროს დიდ ორკესტრში მოაზრებული: „მე ჩემი ღმერთი მყავს საკუთარი, ღმერთი ნამდვილი და სრულყოფილი და არვის ძალუძს მასთან გამყაროს. საქართველოა მისი პროფილი, მისი ანფასი მთელი სამყარო“ (მე ჩემი ღმერთი მყავს საკუთარი).

სამშობლოს მაღალი გადასახედიდან ხედავს დედამიწას: „მე დედამიწას გავეყურებ ჩემი მამულის ერდოდან“.

მსოფლიოს, სამყაროს, პლანეტების მოვლისას პოეტი სიამაყით ატარებს ეროვნულ ღირსებას, წარმოაჩენს მშობელი ქვეყნისთვის დამახასიათებელ სიბრძნეს და სიკეთეს: „სხვისი არა, ქართული, ჯიდად გადგას ღირსება და ცად ბუდეს იკეთებ. მთვარესავით ივსები სიბრძნითა და სიკეთით“ (სხვისი არა, ქართული).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი დარწმუნებულია, რომ მისი პირამიდების ტოლფარდი და მაღალი პოეზია, „ქართული სულის კოლიზუმი“ გარანტი იქნება მარადიულობის, სინონიმური გახდება სამშობ-



ლოსი: „აღმართავ პირამიდებად დღეებს-მიცვლილს, მოცვლილს და აღსავლიდან-დასავლით, ამდღებუ-ლი ცასავით სამშობლოდ გადაიქცევი“ (აღმართავ პირამიდებად).

„ცაა სამყაროს გონება“, „ცა მედიუმია“, აცხადებს პოეტი და პატრიოტულ გრძნობაზე ხშირად იგაფურა-დაც გვესაუბრება: „საქართველოს ლურჯი ცა ხარ, ვარსკვლავებით მსხმოიარე“ (საქართველოს ლურჯი ცა ხარ). ამ ფრაზაში გაცხადებულია პოეტის ზეცი-ური სიწმინდე და სიბრძნე, რომლის ადრესატია სა-ქართველო.

ჰადესის საუფლოს საიდუმლოებებს სიცოცხლეში-ვე ჭერეტს, თანატოსის სამყაროს უშიშრად ეახლება: „...და რა კაცია, ვისაც წამით სიკვდილისათვის, სი-ცოცხლეშივე ერთხელაც არ მოუკრავს თვალი“ (და-საბამიდან მოაქუამამდე) (2, 301).

დედამიწის ყველა გზის მგზავრია, პლანეტების, კოსმოსის იდუმალებას გაშინაურებულია, მიწადქცე-ულთა გამო ჭმუნავს, ზეცაში დამკვიდრებულების გამო ხარობს, რადგან სჯერა, წმინდათა მარადიული სავანე ცაშია. მირიად გზაზე მავალი, კიდევ ერთ, რჩეულთ სავალს უმზერს, დიდებასთან დამაკავშირე-ბელ ბილიკებს პოულობს, პოეზიით ცდილობს სიკ-ვდილს კიკლოპს გაეპაროს ოდისევსივით, ცაში ასასვლელ კიბეს აგებს, თვითონ ხდება თავისი „ყოფნისა და არყოფნის უფალი“, მზეზე, მთვარეზე,



ვარსკვლავებზე ეგულება „მამაც ზღვარგადამლახველთა“ მუდმივი საცხოვრებელი.

„განჭაბუკების ბალახის“ მაძიებელი, ენქიდუს და გილგამეშს ხვდება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე სასაუბროდ, მედიუმით ესიტყვება მზეგადასულთა სულებს...

კოლხეთიდან გატაცებულ ოქროს საწმისს მისტიკოსის, მაგრამ წინაპართა ღირსეული გენეტიკური კოდების ახალ სასწაულს გეთავაზობს თავისი „იქმენ ნათელისა“ და „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეულის სახით, რომელშიც კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ბიბლიური ქალდეველების, შუმერებისა და ქართველთა ნათესაობის შესახებ არსებული მოსაზრება. ამიტომ ასოცირდება მის ლექსებში ქალდეა, ეგვიპტე, ქანაანი, მცხეთა, კოლხეთი, აღდგომის კუნძულები, პონტოს ზღვა.

ვაჟა ეგრისელის სტრიქონები: „იერიქონის ვარდივით“ იშლება, „იერიქონის საყვირივით“ ხმიანობს.

პოეტის სული „ახალ კლდედ აღიმართა“, ნათლის სვეტებად განფინა სულის ახალი საგანძურები...

სახარებაში ქრისტე მოციქულებს აოცებს ქარისა და ზღვის დაწყნარებით, ზღვაზე სიარულით (მათე, 9, 23-27; 15, 22-33).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ



ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია, 37, 2).

„ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (ნეტარი ავგუსტინე) (7, 519). ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკული გმირი „რწმენის საჭით“ ახერხებს ზღვის გადალახვას, ცოდვებზე ამაღლებას და უზენაესთან მიახლებას: „მიწის ბელტების დგას ღრიანცელი... მე რწმენის საჭით ზღვა გავაპე და ვით მენავე, მიველ იქ, სადაც შენ ციმციმებდი. ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი... და შეწყნარებას ვთხოვ უზენაესს“ (მიწის ბელტების დგას ღრიანცელი).

მიწა ცოდვის საგანეა, „ცოდვის ზღვა“ და მხოლოდ მისი დამარცხებით მიიღწევა უკვდავება: „უკვდავია უმცდარად, ცოდვის ზღვა ვინც გასცურა და შიშმა ვერ დააზრო, ამ სოფლიდან კაცურად, იმ სოფლად ვინც გაასწრო“ (უკვდავია უმცდარად).

პოეტი „მენავეა“, „მენავეთმოდგარი“ და მისი დევიზი ასეთია: „სახელი უნდა იქცეს ქუხილად, უნდა იქნოდ ელვა მახვილად, ვით ქრისტე, ზღვაზე უნდა გახვიდე, ფეხი წამით რომ არ დაისველო“ (სახელი უნდა იქცეს ქუხილად).

პოეტი არის „ზღვის დამურვებელი“, „ოკეანეთა ქვეშემახედვარი“, მისი სიბრძნის ზღვა „ოკეანისკენ მიიქცევა“.



წიგნები „ფიქრთა ოკეანეა“ (ნათელხილვა), ზღვა მისი მამულია: „ზღვაო, შენ ჩემო მამულო, ჩემო მკვლელო და ხსნავ“ (ზღვაო).

ვაჟა ეგრისელმა შექმნა „გალობა მეზადურთა და მონადირეთა“.

პოეტურ სითამამეს და ძალმოსილებას მოწმობს სტრიქონები: „ზღვა ხელთ მიჰყრია, ვით სილურჯით სავსე ფინჯანი“ (ნეფტუნი).


პოეტის „სიმღერის ზღვაში“ მთელი სამყარო მონაწილეა თავისი ნათლით და ბნელით, სიმაღლითა და სიმაღაბლით.

ამ განაცხადს დიდი შემოქმედებითი ძალისხმევა ასაზრდოებს: „ქარს მინდობილი ვარ ოკეანე, თვალეში დედამიწა ჩამშტერებია დაჟინებით“, ასე გამოხატა სულისა და სწრაფების უკიდევანობა.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი მირიადი საუკუნეების მანძილზე დაგროვილ სიბრძნის ზღვას შეიცნობს თავის უსაზღვრო სულიერ სამყაროში: „ორი ათასი წლის მერე ამოდი, ამოთავთავდი სილურჯედ იასამანის. მზისა და სიბრძნის სავანეც, ზღვაო, გულწრფელო ცათამდი“ (ორი ათასი წლის მერე).

ეს ზღვის გენიად პერსონიფიცირების მაგალითია.

პოეტური ყოვლისშემძლეობა უპირველეს გენიებთან აკავშირებს: „პოეზიის ცაზე მფრინავს, ჟამმა მეხი აგარიდა და მიტომოც გადიქროლვე: მთები, ზღვე-



ბი და ტრამალი. შენ ხარ შოთას ნაგრამი და დიდი ვაჟას ნატამალი“ (პოეზიის ცაზე მფრინავს).

მდინარეების, ზღვების ძალას გრძნობს საკუთარ არსებაში: „კლდეებს მიშლილი შენ ხარ ენგური“, „შენში ბობოქრობს ტალღები პონტოს და მარმარილოსი...“ საუბრობს რა ამაღლებულისა და უსაზღვროებისკენ ლტოლვაზე, ფსევდოლონგინე წერს: „უსაზღვროების ბუნებრივი წყურვილია მიზეზი იმისა, რომ ჩვენ პატარა ნაკადულებით კი არ ვიხიბლებით, არამედ ნილოსით, ისტროსით, რენოსით და ყველაზე მეტად კი დიდი ოკეანით“ (ამაღლებულისათვის) (35, 18).

ბიბლიაში, ქართულ პოეზიასა და პროზაში მრავალგზის გამოვლენილა ინტერესი ზღვისა და მთისადმი.

მთის სიხისმეტყველება ჩვენს მწერლობაში ძირითადად ვაჟა-ფშაველას სახელს დაუკავშირდა.

მთის ორიგინალური სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით გამორჩეულია ვაჟა ეგრისელის პოეზია.

პოეტმა გადააბიჯა ტრადიციებს და შექმნა ფიქრთა მთის, სიტყვის მთის, მთვარის მთის, რწმენის მთის, მთიებით მოქსოვილი მთების, დევთა ნამათრახალი მთების ბილიკების, ღამპრად წარმოსახული მყინვარწვერის, დევის მზეთუნახავ ქალად მოლანდებული უშბის, მყინვარწვერის ბროლის კოშკის თოვლის დედოფლის, მადლის მწვერვალების, უსას-



რულობის ფიქრის ისლით მოსილი მწვერვალების, წიგნის მთების, უფლის წმინდა მთის განუმეორებელი სახეები.

მთებზე ჰუნეთი გადავლის, მწვერვალების დაღაშქერის, აღმართებზე სვლის გაბედულებით მოგვხიბლა.

მთებური სიდინჯე და სიმაღლე დასახა იდეალად. სინასა და პარნასის მთებს მიეახლა, მუხათ მთაზე ჰელიკონს დასახლდა.

პოეზიის ქედები გადალახა, ცის მთებში იხეტი-ალა, დარდის მთები დაფშენა, მაღალი და მაღლად მხედი მწვერვალები შექმნა, მწვერვალებისკენ მზურა დასწემდა, ოცნების მთამსვლელებს მიესალმა, ჰიმალაის მთები, შამბალა და ანდები მოიარა.

ხშირად მთა რელიგიური შინაარსისაა, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ხილულ მთაში (დანიელი, 2, 35) (36, 247) მარიამ ღვთისმშობლის ხატებას გულისხმობენ.

მთათა კიბეებით მაღალი მზის ხილვის სურვილი ქრისტესკენ ლტოლვას გვიჩვენებს: „მთათა კიბეებს მიჰყვები ზევით შენი მაღალი მზის სახილველად“ (მთათა კიბეებს მიჰყვები მაღლა).

„მთის საფეხურებით“ მიეახლა პოეტი ღმერთს: „მთები გესაფეხურა და მიტომ ახლო მიხველ ღმერთთან...“ (მიტომ ახლო მიხველ ღმერთთან).




რწმენის მთაზე „ნათლის წყაროს“ (ღმერთს) ეზიარა (ცამდე მაღალ რწმენის მთიდან). ლექსში „მორეთიდან მოსული“ წმინდა მთა მარიამია, წყარო და სიცოცხლე ქრისტე: „შენ ხარ წმინდა მთის წყარო, სიცოცხლედ რომ იდინებს“.

ამირანივით ღმერთთან მებრძოლს, ქართული ცა მუზარადად, მთები კი უკვდავების გზაზე საფეხურებად დამშვენებოდა: „ისე, ვითარც ამირანმა, რადგან ღმერთთან იომე, ქართული ცა მუზარადად, თავზე მარად გეხუროს. უკვდავების გზაზე მავალს, მთები კაგკასიონის უნდა გესაფეხუროს“ (ისე, ვითარც ამირანმა).

ურთულეს გზაზე შემდგარს, წინაპართა სიტყვის მთები ეიმედება: „შევეცქერი მთას და მწვერვალებს უქრობი ცეცხლი მედება, შოთას ფარი და შიმშიერი გზას მიკვლევს, მემედება მაგრამ მე ვაუა მიშველის“ (იმედი).

პროფ. ლუარა სორდია

გაგრძელება შემდეგ ტომში



პლუტონი, მერკური

ცის ქვაბში ბრუნავს
უამთა მორვევი,
შიშით შეჰყურებს მიწა
ბედკრული.
და დღეს ისინი –

ერთად ორივე,
მზისგან შორს დგანან,
ვით პლუტონი¹ და
ვით მერკური.²

1986

¹ პლანეტა პლუტონი – მზისაგან 6 მილიარდი კმ-თაა დაშორებული.

² პლანეტა მერკური მზის სისტემიდან 60 მილიონი კმ-ს იქით იმყოფება.

ადამიანის ცხოვრება კი
ასე ყოფილა,
ყოფნას,
არ ყოფნა დასდევს
ფეხდაფეხ
და აცლის მიწას!
რაქნას სიცოცხლემ,
დღენიადაგ
თავისთავს იცავს!

1969



ორბიტები

ვით კადმინმა

ზეციური,

გამოისხა ორბის ფრთები,

არც ნაკლები

და რცმეტი,

ხლეეს გიქნევს ორბიტები, –

ელიოტის „ოთხ კვარტეტის“.

1979



მესამე ათასწლეული

კოლხი ორ ღმერთ ფიცულობდა,
ღმერთს ფაზისის და
ნილოსის...
და შენც, ვითა წინაპარი –
მზის ღვთაება
ჰეილიოსი,
ზე-ცასთან ხარ წილნაყარი.

1964



რაა სიცოცხლე!

გაჩენის დღიდან,
თავს დაგვეტრიალებს
ვითარცა ძერა...

თითქოს ვუყვარვართ...

მაგრამ გზადგზა –
გვაცმევს სიკვდილის
ღამისფერ პერანგს.

2017



წინაპარი

ნებტუნია და

იუპიტერიც,

ეს არის ჩემთვის ხორვა და

ბოდბე,

/მინთია მზის –

წინ ლამპარი/

დაა... პირველყოფილ ადამას მოდგმის

წინაპართა,

ვარ წინაპარი.

1961



„ბედნიერი პარსკვლავი“

/თურქული ფილმის ყურებისას/

ცრემლგარეული მოისმის ხმები:

– მოულოდელად ჩამოდგა მწუსრი,

ეჰეი,

ჰეი!

გიხმობ,

გეძახი,

ეს მე ვარ ზუსრე,

– მიყვარხარ სეით!

2018



ზღვა

სიყვრული რომ მეწვია,

ზღვამ,

ჩემმა დედამშობელმა,

ცხოვრება გამიღამაზა,

მაგრამ ჩემთვის სხვა

პეწი აქვს:

არაგვს,

მტკვარსა და

ალაზანს.

1967



მზე და მთვარე

ამქვეყნად მოვალთ სულ ერთი წამით
და თვალებს გვიწვავს
მწუხარება –
კვამლთა და ბოლთა.
ჩვენზე დარდობენ დღისით და ღამით,
ცად მზეც და მთვარეც
და სცემენ ბოლთას.

1071



ფაავ-ხეხურეთუი

წარსულისაკენ მიმავალ –
აქ საცალფეხო ბილიკებს,
წარმართი ღმერთი –
ოდი შლის.
ჩანს მტერთა ანაოსრები –
სოფლები....
ვხედავ ოდიშვილს¹,
ეგრისელაშვილს²,
ოდიშელს³ –
შთამომავალს ძველ კოლხების.

1963

1, 2, 3 – ჩანს ოდესღაც აქ მათი საცხოვრებელი უნდა ეოფილიყო.



ქართველები!

„ორი მსოფლიოს ორი მმართველი

ჰყავს: დასავლეთით ეს მე

ვარ. აღმოსავლეთით პრინცი ერეკლე“

პრუსიის მეფე –

ფრიდრიხ დიდი.

ნაშუებარს და ნაისარს,

მას ფარზე ვინ დაითვლის!

უფრო ადრე ერეკლეს,

ვახტანგის და დავითის,

ქართველებმა მრავალჯერ

ვიკინგებს თუ მონგოლებს –

აწყევლინეს თავისი

გამხენი და მომგონი.

რკინის მოდემას ხალიბთა,

ბრძოლას ვერვინ ასწავლის,

იგი შიშის ზარს ცემდა

აღსავლიდან –

დასავლით...

1989

ბედისწერა

ადამის ძეს,

ვიდაც არა!

თვითონ ბედისწერა უსჯის –
მომავალში რასაც ჰპოვებს.

ვისი ჯაგუ და ან ქუჯი,

მე, ორივე ეგრისელზე,

ათასი წლით ადრე მოველ!

1959



მორჩილი

ქრისტეს რწმენისთვის

დამისმთეველი,

ბევრია განა ერთი და

ორი.

და ღვთისმოსავმა სხვა რა ინატროს.

მორჩილი მუდამ დგას

მრევლთა შორის,

მაგრამ ღოცვებით ცაში ბინადორბს.

1983



ქუჯიცა და ფარნავაზის

აღმოსაგლეო –

დასაგლეოთო,

ცისკენ ლოცვად აღის ვაზი,

და უნთებენ ერთ ღმერთს

სანთელს

ქუჯიცა და ფარნავაზიც.

და გაცქერის ქართლს და

გერისს –

ცა მაღალი და ლამაზი,

ერთი გულის ცემა ესმის

აქ მტკვარსა და

იქ კი – ფაზისს.

1987



რწმენა

ცხოვრება საესეა ნარეკალით,
არ მიშვებს ნათელში ვიარო,
ბევრჯერ სურდა რომ მოვეკალი.
მახვევდა სიკედილის ხვიარებს...
გადავრჩი...
და დღემდე მოვედი,
მაგრამ სული კი,
ვერ ირჩენს იარებს.

1969



სიბერიდან თუ შორ-წარსულიდან
სულ ახალგაზრდა
მოსველ დაღლილი
და სიყვარულის ის ინფანტები,
მეცხრე ცის თავზე
სკდება ნაღმივით
და ვარსკვლავებად ძირს
იფანტება.

2018



ადამის ძეს ყოველივეს
დმერთი აძლევსა და
უსჯის –
ქვეყნად ყოვლის შემრისხველი,
ქუჯამდე და...
მერეც ქუჯის...
იყო ვაჟა ეგრისელი.

1960



პეგასი

ცისკენ მქროლავმა პეგასმა,
ქარის ფრთები თუ
გაშალა,
ადარ ეყოფა ხმელეთის
ბილიკები და
გზა-შარა,
თუ თავის დროზე მხედარმა
არ დაუჭირა ავშარა.

1959



შრომა

თითქოს თულებს გაეტაცათ
და მიჰყავდათ გასაყიდად
ურმით....
ჭური, ვით ქალწული,
საწყაღს პირი ჰქონდა ღია,
იყო თოკით გაბაწრული.

1969



მწუხრი

ელვით დახნულ ცის მინდორზე –
გლეხკაცივით მიდი მწუხრი
და უშქარს და
ურიცხვებს,
ვით სიმინდის წითელ მარცვალს
ბლუჯა-ბლუჯა
ისევ თესავს
ოქრო ნარევ მურიცხევს¹

1973

¹ მურიცხი (მეგრ) – ვარსკვლავი.



ურწმუნოები

თუნდ დედამიწა მორწყან ცრემლებით
და ვედრებითაც კალთა
აივსონ....

თუ რწმენის გზებით აღარ ივლიან,
ურწმუნოთათვის –
სამარადისოდ,
სამოთხის კარი დაკეტილია.

1967



ღრუბლები

ღღეები ცივი და უსახური,
გადაიფრენენ ზეცას გედებად,
და შენ როს წახვალ უცოდვილი,
როგორც კირიბი¹,
მაშინ, ღრუბლები, ისე როგორც
მეგრი დედები,
მოვლენ პირ-სახე დახოკილნი
ელვის ფრჩხილები
და ცხარე ცრემლით დაგიტირებენ...

2018

¹ კირიბი (მეგრ.) – ბატკანი.



დასაბამიდან ასეა:

რაც თავი ახსოვს საწუთროს,
აღარ ყოფილა აროდეს,
რომ ნასახლარზე სიკეთის,
ბოროტება რომ ხარობდეს!

1968



არჩევანი

დაჩის

შენი ნაშირი გერჩიოს,
სხვის ბაჯადლო ოქროს,
შვილო!
რადგან ღმერთი გეავს მოწყალებ,
გიჯობს შენი ხობისწყალი,
ვოლგას,
მისისიპს და
ნილოსს.

1978



მოტაცება

მოულოდნელი შეკვივლება!..

ცხენთა თქარუნი...

ხობისწყლის ოხერა...

ჭალა გაშლილი....

მერე შავი ტყე...

ხორგა,

დარჩელი.

ო, ასე თურმე გლეხკაც მამას

გაუტაცია –

„კნიაზის“ ცირა – დედაჩემი,

რომელსაც მერე ჰყავდა

ცხრაშვილი.¹

195

¹ ვაჟა ეგრისელი – მეცხრეა, შვიდი ძმა და ორდა.



ფანტელები

კოლხური ციდან რომ დაგვეცქერის,
მთვარის ღვთაება ოდია.
და ეს ფანტელები –
ფარფატა ანგელოზები
დედამიწაზე ედემ-ბაღის სანახავად
ჩამოდიან.

1959



პოეტის ახირება

გამთენიისას უინი მოუელის –
დაცამლეწველი,
ყოელის ამკლები:
– ცაში მთლემარე ვარსკვლავები
უნდა აყაროს!
ქვით ჩაუმსხვრიოს მთვარეს სარკმელი
და მტვრად აქციოს
უმზეო ცის ბნელი
სამყარო!

1960



მტკვარი


/ვარიანტი/

მახათას მხრიდან ჩამოსულ ნიავს,
რეკის ხმა მოუაქვს
სიონის ზარის.

ნარიყალას ციხეს გასქერის
გორგასალი.

ორთაჭალაში,
მეტეხთან მტკვარი,
თბილისს კვლავ უჭირავს
გორდასავით.

1961



ციცინათელა –

სულია ადამის

ღიად დარჩენია სადამოს კარები
და სანამ ბნელა და
სანამ ინათებს,

ის ციცინათელა –

სული ადამის,

აქ – ჯოჯოხეთურ ყოფით დაღლილი,
იქ – სამოთხეში მოიპარება
და წვეთ-წვეთად გზას
ისინათლებს.

1956



შებრაცხავენ წმინდანად

ყველაფერი იცვლება,

მაგრამ შენ საქართველოს
მზის...

სხვა არა გინდა რა!

და... როს გარდაიცვლები,

შებრაცხავენ წმინდანად.

2018



ხილვა: ენგურთან

უცებ იელვა...

გაკრთა წარსული...

მიწას დაამხო ცა

ლუკიას ხმამ:

– პატონიშ სკუა! – თამარს მეხვარი!¹

გრგვინავს ენგური...

თარეშობს ქარი...

და ტალღების ისმის გოდება –

თარაშ ემხვარი!..

თარაშ ემხვარი!..

1958

¹ პატონის შვილი! – თამარს უშველე



ღმერთი და ბიბლია

ვითარცა ძემ ადამის,
მეტი რაღა ინატრო,
რომ გიხმობენ –
იღბლიანს!
შენში ერთად ბინადრობს
ღმერთიცა და
ბიბლიაც.

1960



ხილვა: სპარსთა ლაშქრობა

„გიაურთა“ დამსჯელი,
ქართ-კახეთის მოსრავი,
მოდის ურდო ურიცხვი...
მაგრამ არ ჩანს ჰაფეზი¹,
აღარც ნიზამ განჯელი²,
სანაი³,
ანვარ⁴,
ათარი⁵...
და არც ნასერ ხოსრავი⁶.

1991

1,2,3,4,5,6 – სპარსელი პოეტები



ცას მიაღბი რწმენის კიბე

უნაყოფო ცხოვრების ხე,

ქცეულიყო რომ ვენახად,

გზა განლიე დიდზე დიდი....

და უფალი რომ ვენახა,

ცას მიაღბი რწმენის კიბე..

ზღვაზე –

ლოცვის გაღე ხიდი.

2018



ნეპტუნი და ურანი

შენ კი არა,

პოეტო!

მზე რომ მზეა,

თვით მზესაც,

ბევრი ჰყავს მომდურავი:

– მარსი,

იუპიტერი,

მერკური და ვენერა,

ნეპტუნი და

ურანი.

1969



ქალდეელები ლაშარში

ლოცვებით და

მზითმოსილებს,

ღვთიურებს და ღვთისმოშიშებს.

რა გამოლევს მთაში ბერებს –

ლაშარში ვჭვრეტ

ფშავ-ხევსურებს –

ქალდეელებს –

ნაშიერებს.

1976



არმაზის ბილინგვა

უამი უნდოა...

ყველაფერს,

დავიწყებისკენ მიხვეტავს...

ვერავენ უძლებს მის ცოცხებს,

მაგრამ შენ ბუხს ვერ

აგიფრენს,

„ძევახოს! –

ჩემო სიცოცხლე!“

2008



თეთრი,

სიფრიფანა ნისლი,

მოუშვია მთას წვერივით.

შენ კი მისდევ გზას ეკლიანს...

ვეფხის ზოლზე დაწერილი,

სტრიქონი ღირს ასი ოქრო,

შენის ფასი კაპიკია!

2018



მეცხრე

ეჭრფოდი უფლის ანგელოზებს –
მტრედებს და
მერცხლებს!
რადგანაც ციდან მოფრენილი
იყავი მეცხრე.

1953



ჰეი!

დაჩუნხვილ შაგებს ჩაიცვამს,
ულურჯესი ცა კოლხეთის,
როცა შენს სიკვდილს –
იხილავს.

ჰეი! –

რა ჩუმაღ მოხვედი!!!

და...

მოხვალ ჭეკა-ქუხილით...

2018



**სიცოცხლე,
სიკვდილი**

სიცოცხლე –
 უცოდველი ბატანია,
სიკვდილი? –
 მხეცი და ნადირია,
მიჰყვება დამეუღლ გზა-შარას....
შვილმკვდარი დედები –
 უცრემლოდ ტირიან,
რადგანაც მათი ცრემლების ზღვა –
 დამშრალია.

2017



რადგან მოკლეა წუთისოფელი,
მიტომ შორეთზე ფიქრი
გვიტაცებს,
თუმც აქ,
არყოფნის თოკით
დავებით.
რაც გვავიწყდება დედამიწაზე,
იმახსოვრებენ ცად ვარსკვლავები.

2017



სამი რაინდი

სამმა დიდმა რაინდმა –

უშბამ,

შხარამ,

თეთნულდმა,

სიხარული მაჩუქეს! –

როცა, ვით სამლოცველოს,

შემახედეს მზით სავსე,

მურყვანებს და მაჩუბებს.

1958



აირია ქვეყანა...

აწი,

კაცმა არ იცის!!!

როდის გამოიდარებს!

და მე ვუსმობ საშველად –

რუსთაველს და

პინდარეს.

1992



**წარმართ კოლხთა ღღეთა
კალენდარი**

მზე და მზის სიყვარული,
ცას ვარსკვლავებად ესხა...
ისმოდა კოლხთა ლოცვა:
თუთა¹,
თახა²,
ჯუმა³,
ცაშხა⁴,
ობი⁵,
საბა⁶,
ქეშხა⁷
1957

1,2,3,4,5,6,7, – კოლხური პანთეონის წარმართ ღვთაებების სახელები.



აქილეუსის და ატილის

ერთი, მხოლოდ ღმერთი განმსჯის,
აქილეუსის და
ატილის
საქმეს საძრახს და საგმიროს.
როცა დედა შვილს დასტირის –
ერთად ხარშავს ცრემლს
და მირონს.

1989



0ა

ღურჯად გახელილი თვალით,
ეთამაშებოდა ნიავს,
სანამ მოხუც ხეებს ქარი
ფესვიანად ამოთხრიდა,
მანამ ბუჩქის ძირას ია,
მოსულს ჰგავდა –
სამოთხიდან.

1953



ქანაანში

შენც ისე, ვით იაკობმა,
ქანაანში სიზმრად ნახე,
სანახავი სხვაზე მეტი:
და გეჩვენა – გვირგვინოსანს,
თავზე გედგა მზე და
მთვარე,
ვარსკვლავები ათერთმეტი.

1983



ცოდვილ დედამიწაზე –
 უამთ ბორბალი იგორებს...
 აღარ უნდა მისანი,
შენ რომ წახვალ გიგლოვებს
 „მხედრიონი
 ცისანი“.

2017



საყვედური

სამშობლოს მცველთა –
შეხედე ლაშქარს,
რომ აბარია „უთაო მხედარს!“
შენ გეკითხები –
მამაო ღმერთო,
ამ საოცრებს ნუთუ
ვერ ხედავ?!

1991



მოგონილი

ბ. კ-ს

შენმა „დიდმა“ სახელმა,
ქართულ სიტყვას მეხი ჰკრა.
ნეტავ, ვინ მოგიგონა?!
შენი მთელი „ნაღვაწი“,
არღირს ვ. ე-ს ერთ
სტრიქონად,
თვით შენ კი მის ფეხისმტვრად.

2015



ქარიშხლის ფრთების ტყლაშუნზე,
ზღვაში დამხრვალთა სული თუ...
უცებ აფრინდა თოლია,
რომელმაც წივილ-კივილით
ქაღებიც აიყოლია.

1960



ოფოფი

კუნძზე მჯდარი ოფოფი,
თავზე ოქროს გვირგვინით
ჰგავს ეგვიპტელ
ფარანოს.

იქვე ციცქნა პეპელა
უქნევს ფრთების –
მარაოს..

1954



მეგრულ ყუბურსა და კველას

ფიქრი მკლავს და ვერ ვიძინებ:

– იქ წასულა თითქმის ყველა...

მე სიბერემ დამათოვა...

რა ვქნა!

მაინც შევცვინებ –

მამა-პაპის დანატოვარ –

მეგრულ ყუბურსა¹ და

კველას².

2018

¹ ყუბური (მეგრ.) – კერა, კერია

² კველა (მეგრ.) – პატარა ძელი სკამი.



შემოუსხდა მთვარის კუბოს –
ღრუბლის შაოსანი მრეკლი,
ისმის მწუხრის არია...

შვილმოკლული დედის –
ცრემლი,
ნათლისღების დარია.

1969



ხილვა: ბაბაონი, იალონი

ბიბლიიდან წარმართ ღმერთთა
ისმის მოთქმა,

გოდება:

– ვაჰ! თუ ზეცამ იალოს!
და ვჭვრეტ: ისოს ბრძანებაზე,
როგორ დადგა მზე –
გაბაონს,

მთვარე –

ხეესა იალონს.

1967



სადღაც ისმის ხმა მაცილის
და კენტავრი შიშის
ფლოქვებს აბაკუნებს.
მე კი თორად საქართველოს
ზეცას ვიცმევ
და ვიკეთებ ვარსკვლავების
ოქროდ ნაჭედ –
საწვივებს და
საბარკულებს.

1968



დაღუპვა თარაშ ემხვარისა

ბორგავს მამა – მძუძე პონტო,
გულში იცემს ზვირთთა მჯვიდებს,
დამხრჩვალ თარაშ ემხვარს
გლოვობს –
მუნჩია¹ და ჩხოუშია².
ენგურს, როგორც ჭირისუფალს,
ქაფის წვერი მოუშვია.

1963

¹² – პატარა მდინარეები სამეგრელოში.



თავი უნი უიცან

დეღფოს ლოდზე წარწერამ

„მკლავი გამიმაცურა“.

ზღვის აკვანს რომ არწევდა –
ფიქრმა ათასწლეულების
მითების და ლეგენდების
ოკეანე გადასცურა
და კოლხეთში მომიყვანა.

2018



გახმება ენა,
რომელიც შენს სიავეს ცრიდა,
გადაიქცევიან მოშურნენი
ცოცხალ გვამებად! –
არარის ეჭვი.
ვარსკვლავები კი გადმოცვივა
კოლხური ციდან!!!
და შენი წასვლა დაემგვანება,
ჩემო,
ახსნას მექვსე ბეჭდის.

1999



სამებრელოს მესუთე დალაშქვრა

ლეგენიდიდან მოსული,

ჩემი გმირი კოლხეთი,

სპარსმა და არც არაბმა,

„ქართველმა“ დამიმარცხა!!!

– ვხედავ ცეცხლში

გახვეულს,

ისე, როგორც სიზმარ-ცხადს.

1993



ქვევრი შრომასთან

რისი თქმა სურს ღმერთმა უწყის!

გაუღია პირი ფართოდ,

აღარც შვილი,

აღარც ცოლი.

ჯერ მიწასაც არ ბარდება,

და ქვევრს რაღა ედარდება,

მხართეძოზე წამოწოლილს.

1959



ათასწლეულების იქით –
კოლხური ცა კვლავ იელვებს,
სადაც მამა – მძუძე მთვარე,
გზას უნათებს ასურელებს,
ქანანელთ ან
გაბიელებს.

1959



ცა – ქრისტეა

მწუხრის უსამანო სივრცეს,
ისევ ღიად დარჩენია
მთვარის კარი
და ორპირი ქრის ბორია –
გამსჭვალავი...

ცა – ქრისტეა,
ღამე გახლავთ ქონდაქარი,
ვარსკვლავები –
მოვარვარე – სამჭვალავი.

1959



მარტი მარტობს...

და კუდს იქნევს.

ამინდია ამაზრზენი.

და მაინც ვარ მოხიბლული:

სამეგრელოს ტყიან მთებით;

სალხინოთი¹ და

სიბულით²,

ნაფინსუთ³ და ნარაზენით⁴.

1966

¹ ,2,3,4 – სოფლები მთიან სამეგრელოში



ისევ კოლხეთი

*„კოლხეთის უძველესი მიწიდან
იწყება კაცობრიობის პროგრესი.“*

ჰეგელი

მიღმა ათასწლეულთა,
ღამე არა,
მზე გველის,
რადგან უსამანო ცა, –
ვარსკვლავებით ირწყვება....
და ვით ბრძანებს ჰეგელი:
– წინსვლა კაცობრიობის –
კოლხეთიდან იწყება.

1971.



წარწერა ლოლზე

შორი გზიდან მოსულმა,
წამით აქ შევისვენე!
/უკეთესს რაც ვპოვებდი/
და... ახლა იქ მივდივარ,
საიდანაც მოვედი.

2018



ბრძენი იყო...

ყოფნის ფასი,

რა იციან ბრძევებმა!!!

მოვიდა და ისე მიდის,

სიცოცხლის და

სიყვარულის,

წიგნს ვერა,

ვერ ამთავრებს!

შავი დარდი თან მიჰყვება

იმ მზისა და

ამ მთვარის.

2018



მეხის ხმაზე ღრუბლები კი
კვლავ ატირდნენ,
ელვამ ოქრო შეიფერა.
და მზე სივრცეს აწყდა ღილად.
მერე უცებ...

ცამ შვიდფერად,
ცისარტყელა გაიღიმა.

1953



ხსოვნის მზე

ვითარც წინათ,

საქართველოს,

ახლაც გმირი წინაპრების,

ხსოვნის დიდი უვლის მზე,

ცხრა ძმა იყო მაჩაბელი

და ცხრაც ხერხეულიძე,

შენც მეცხრე ხარ ეგრისელი,

სამშობლოს მტრის დამჩაგერელი.

1984



პოეტი

წამით თავის მისადრეკად
ვერც მიწაზე და
ვერც ცაში,
ვერ პოულობს იგი ბინას!!!
ერთ პირს წყალიც
კი იძინებს,
პოეტს, ისიც აღარ ძინავს.

2018



ზღვა და ხმელეთი

თუმცა გრიგალებმა ბევრჯერ დასაჯეს,
მაინც ბოდმაა
და არის ანტი;
არ შეუძლია მიწის წკვარამ კუბოში
იწვეს,
და ისე, როგორც პუშკინი დანტესს,
ზღვა პირქუშ ხმელეთს
ღუელში იწვევს.

1957



წარსულიდან ენგურს პეშვით
მოაქვს ბარისაკენ „ლილე“...
და ჯვართან კი ბერი მუსა
დგას და ოქროს საქილეში
იწეობს რკოთა
ვერცხლის ქილებს.

1953



დედამიწაზე დაუტვარი,
როცა წუხილის ფრთებს
გაშლის ღამე
და ჩამოწვება ბინდი მთებური....
არც ცა,
არც მიწა,
/ვითარცა გრანელს/.
შენს სულს სავანე –
სხვაგან ეგულვის.

2018



„წყალნი წაეღენ და წამოეღენ,
დარჩებიანო ქვიშანი!“
უცებ იეღვა! –
შენც ასე! –
ცამ ეღვით მოგვცა ნიშანი...

2018



მეცხრე

ჩუმად აყოლებ ნადვლიან თვალებს,
თბილი ქვეყნისკენ
გადამფრენ მერცხლებს;
საითაც უკვე გაფრინდა შენი,
ძმები და დები,
უკლებლივ რვავე.

და....

შენც გაფრენას –
მოელი მეცხრე.

2018



მოყაყანე ზვირთებს შორის,
ქარის დედა –
ქარიშხალი,
კვლა დაძრწოდა ვით იუდა....
როს იხილა –
არ უშვებდა გემს მეჩეხი,
ზღვა უცებ ანერვიულდა,
მერე მხრები აიჩეჩა.

1956



ნილოსი და ამაზონი

ჩემი მტკვარი და რიონი,
ფიქრითა და
წყალ-სიუხვით,
ავწონ,
დავწონ და ავზომე.
თითქმის ტოლი გამოვიდა
ნილოსის და
ამაზონის.

1978



მთვარე, თითქოს მოცარტია,
ვარსკვლავები –
ნოტებია.
ცა ციხეს ჰგავს ბროლით ნაგებს.
და ღრუბლების ტოტებიდან
ცვივა ღვთაებრივი
ჰანგი.

1956



ეჭვი! ეჭვი!

ოჰო! ოჰოო!..

არც ჩანს ზღვარი

და არც მიჯნა....

შენი პოეზიის ციდან –

სულ ბაჯადლო ცვივა ოქრო,

ღვას ხალხი და....

იწერს პირჯვარს:

– ეჭვი!

ჭეი!..

– ოჰო!

ოჰოო!..

1999



ლტოლვა

რაც ექსპრომტად შენ ლექსები
სამშობლოზე გიწერია,
ზოგი ოქროს ბორცვია, და,
ზოგი მთა და მთის წვერია,
ყველა ერთად ფეხისწვერზე
დგებიან და
სალოცავად –
უფლის ცისკენ იწევიან.

2018



მთვარის დროშა

შორ წარსულიდან ჯურხაის ფარის
ხმები მოაქვს მტკვარს
ჩემთან ამ დილით,
თბილისის ზღვა კი გღია,
ვით ცრემლით საესე ფიალა.
და ვით დიდგორზე –
ცხრა გმირი ძმისა დედის მანდილი,
ცის მაღალ ბორცვზე –
ვარსკვლევებით –
დაცხრილულ მთვარის,
ჩალისფერი დროშა ფრიალებს.

1992



სიბრძნის გზაზე –
 შენმა წლებმა,
 შხამ-სამსალა ბევრგან შესვეს
და ახლა კი დუნაის პირს –
 ზიხარ....
 ახალს ელი მოტივს!
ვით, ჰე, მაშინ ჰერმან ჰესე,
 ფრანც კაფკა და
 ელიოტი.

1981



მწუხარების თემა-წვერი

*მონაწერი „კოლხური
ფსალმუნების“ ასტომეულზე.*

ექვსი ძმის და ორი დის
 დამკარგავმა პოეტმა,
 ბერჯერ მოვაშვებინე
მწუხარების თმა-წვერი...
და ბევრნი ვესალბუნე,
 ათასობით კი არა,
 ათიათასობითაც,
უფლის ღოცვით დაწერილ,
 მე, ჩემს –
 „კოლხურ ფსალმუნებს“.

2011



იმედი

რწმენით შებუმბლულ პატარებს,
პირჯვარს გვსახდნენ დედები,
რომ ვყოფილვიყავით მაცხოვრის
ერთგული.

და ახლა მაღლა მიტომ ვიხედებით
იქ – ცაში იმედად
იესო გვეგულის.

1960



ბ ა ზ ა ვ ს უ ლ ი

ცაა ფერი დარიშხანის
და ხობისწყალს ეუღევისკენ –
ძირფესვიან ამოთხრილი –
სინანული მიაქვს ხეთა...
... მერე უცებ მოვარდნილმა –
ზღვას წიხლი ჰკრა
ქარიშხალმა,
კლდოვან ნაპირს მიახეთქა.

1953



მწოლიარე ლექსები

ყოფნამ გაზაფხულის და ზაფხულის,
შემოდგომის დღეებაც
მოიღია....

შენს კოლხურ ცას –
თვალი ცრემლით ევსება.
ადგებიან და.... აწ სამყაროს მოივლიან,
შენი „მწოლიარე ლექსები“¹

1971

¹ საღ-საღამათმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა ათიათასობით ლექსი დაწერა მხარეთმცოდნე წამოწოლილმა და მათ „მწოლიარე ლექსები“ უწოდა.



ყაჩაღები

„ვაი მეცნიერები“/

სურთ აიეტის ძველ კოლხეთს,
ცათამდე ამადლებული,
წაართვან დიდი წარსული
და ლაქარდიან ენებს კი
შურის ქვიშაზე აშრობენ –
ბოროტები და
ავსულნი,
– იქედნეთანის ნაშობნი. (ოთხ.)

1966



ყვავილნარი

ვითა მშობლებს – მზეს და
მთვარეს,
ვარსკვლავები არ ყვარობს!!!
მაინც ერთად არიან.
ამიტომაც ზესამყარო
მუდამ ყვავილნარია.

1964



**ხილვა: ემილ ზოლა,
ემილ დიკინსონი**

სტრიქონებზე შეფრენილი
სიყვარული –
გასდევს ზოლად
ლექსებს ოქროს რერენივით...
და შენ აღარ გიკვირს „ომი“
ხმა მოგესმის ემილ ზოლას,
ქება –
ემილ დიკინსონის.

1973



ბედისწერა

წამით აღარ მშორდება,
დამდეგს,
როგორც იუდა,
და სურს რომ მომყაროს
მიწა ცრემლში ნაზავი,
ბევრი არა,
ორ-ქაფხა!
მანამ ყელში ვწვედე უნდა,
სანამ ის საყელოთი,
თავისაკენ მომქანავს.

2018



გიომ აპოლინერი

„აუჯანყდა“ საფრანგეთი,
ფრანგულ პოეზიის იმედს –
მგოსან გიომ აპოლინერს,
მაგრამ მაინც თავის ლექსში,
წერტილ-მძიმე,
წამლადაც ვერ აპოვინეს.

1959



იმედი

მილიონჯერ ცამ რომ მზე,
მკერდზე გადაიგოროს,
აისს მოყვეს
დაისი.

შენთვის მუდამ იქნება
პოეზია –
დიდგორი...
და... არასდროს კრწანისი.

2018



70

დღის და ღამის უღელში,
შებმულს,
წუთისოფელმა,
შვიდჯერ ათი ბზის სახრე
ზურგზე გადაგიჭირა.
აი, ახლა,
ძილში რომ
ჩუმად არ გაგეპაროს,
აყურადებ სუნთქვას და...
სული კბილით გიჭირავს.

2011



გაკრთა ელვა მწვევარივით,
რომ მოესმა მნათთა ყეფა,
მთვარემ გახედა –
ცას ბეცად.
და ვით შოთა თამარ მეფის,
მზე,
ზღვის წინ მუხლზე დაეცა.

1958



პონტოს აკვნიო ნარწევებს,
მთვარის ორად მოკეცილ
ძველ კონვერტში ვათავსებ
და მიღეთში ვაგზავნი –
სულ ექსპრომტად
დაწერილ
ლექსებს –
ათი ათასებს...

1998



6080

გაზაფხულები შორიდან –
კვლავ მოჰყავთ მერცხლებს
ჭიკჭიკით...
ვით ბრძანებს ნიზამ განჯელი:
ღვთისნაბოძები ნიჭი კი –
ჯიღღოცაა და
სასჯელიც.

1977



შორს მიმავალი ათასწლეულის
კვალს გაჰყვებიან საუკუნენი...
და... შენც როდესაც,
გარდასულთა ღანდებს
შეუვლი,

იტყვიან შენზე:

ზნე ჭირდაო, განუკურნელი,
თავის სამშობლოს სიყვარულით
იყო სნეული.

2017



დღისით – მზის დამწყურველო,
და ღამით მთვარის
აკვანო!
სულ ქარის ატაცებულო,
ღვთიურო „ტანო,
ტატანო!“
ზღვაჲ! – ჩემო ღელვის ტაძარო!
სამლოცველოჲ და
აკანოჲ!

1959



ხილვა: ხაიაში და ჰაფეზი

ღვინის აზარფეშებით

აღაჰისკენ იჩქარის

და მრევლს მისკენ

აქეზებს

ომარ ხაიაში და...

ღრტვინვა ესმის

ჰაფეზის...

1967



მწამს, მოგწყინდა ჯოჯოხეთში,
უსაქმოდ და უქმად
ყოფნა,
და დროც მიტომ გედავა!...
შენც მიდიხარ...
იმ დიდ სოფლად,
უკან მოუხედავად!

2018



მთვარის აქანდაზი

გრიგალი რომ გამოჩეკოს,
დედამიწის ოგვაჯეს¹ კი,
ზღვა კრუხივით აქაც აზის...
ცას უჭირავს ვარსკვლავებით
სავსე –
მთვარის აქანდაზი.

1963

¹ ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარი



მოენოსი და ხობოსი

აიეტის კოლხეთის

ვითა ძველი სამშობლოს,

ნახვა ისევ სწყურია:

მოენოსა¹ და ხობოსს²,

ფაზისს³,

დიოსკურიას⁴.

1980

¹ მოენოსი – თნამხირე

² ხობოსი – სობი

³ ფაზისი – ფოთი

⁴ დიოსკურია – სოხუმი



კვამლი

უფლის გარდა არვინ უწყის,
ადამის ძის ხვაშიადი, –
მიწაზე რომ არ სურს
მოცდა!!!

კვამლიც წყევლად ცაში ადის,
რომ ამაღლდეს!

და მერე კი,
დაუბრუნდეს მიწას ლოცვად.

1958



იმედი

ვითარცა ისნის ვარსკელავი
ჩაუქრობელად ენთები...
და სივრცეებში ხეტიალს
იწეებ და....
განა ამთავრებ
შერჩები, როგორც ცას მთვარე
და დედამიწას ეს მთები.

2015



სასაფლაო

ახლო არა,

შორი გზიდან,

სასაფლაო ჩან მდიდრული.

და საფლავეზე მდგარი ჯვრიდან,

ისე, როგორც გოლგოთიდან

გვჭკვრებს –

ქრისტე თავჩაქინდრული.

1963



ბალახტიონი

მარადისობის ძახილს ელოდა...
და როს ყივილი ესმა
დაფნიდან –
იდემალების გამოაღო დიდი
ფანჯარა,
გახედა სივრცეს...
საუკუნე შეაჯანჯღარა
და... გაფრინდა...

1959



კოლხეთი 22-ე საშკუნე

ვისმენ გორდების – „ყი... ყის...“
და ვასაკების – „კვა... კვას...“
ტურების შეცხადებას, რომ:
– კოლხეთს პატრონი არ ეავს!
სნეულს ხვარციოთ და
ყიყვიოთ.

1954



რადგანაც ცბიერ საწუთროს –
პირი არ უჩანს საპირე
და შუბლშეკრული შენი ცა
წვიმას და სეტყვას აპირებს!!!
მაგრამ...

შენ უამი უუამო,
ვერასდროს გაგინაპირებს!

2018



იმედი

ვითა მკედარ ხეთა სახელი,
კვლავ სხედან ხსოვნის
ტოტებზე.

ჩიტებივით და....

კვირტები,
სიმწვანის თვალებს ახელენ...
და სივრცეებს
აკვირდებათ.

1955



დისტოქო

ანუ

ორი ლექსი ბალაკტიონს

1

*აქ ჩემს ახლოს აკაკის ღანდს...“
გალაკტიონი.*

მოწარდებიან ღანდები –

ძველებიცაა და ახლები...
დაირეკება სხვა ზარი!

„სადაც შენ დაიმარხები“.

ამაღლდება ის ტაძარი.

1959



2

*„რომ მეფე ვარ და პოეტი...“ –
გალაქტიონი*

ლეგენდიდან გადმოსული,
ვით პოეტთა ფარაონი,
დედად თვლიდი შენც ისიდას¹.
და.... თავი, რომ მოიკვდინე!!!
ხომ მოკვდებოდი ისედაც?!

1959

¹ ისიდა (ბეერდ. ეგვიპ.) – ეველა ფარაონის ღვთაებრივი მშობელი.



სარმა

საიდანღაც მოვარდნილმა

შაგმა,

ავისმაცნე ქარმა,

წუთისოფლის ტკბილი ლუკმა,

შენ შეგარგო ბევრჯერ არმად!!!

და მოგვერდის გაკეთება

სურდა...

მაგრამ შენ ქართული,

გამოჰკარი უცეპ სარმა.

2017



ხილვა: ხაიამი, საიდი, ჰაფეზი

იფურქენებოდა ვარდი შირაზის,

ხსება,

ყველა დიდი მგოსნის უინაზე.

იყო „ბანქო“ და

იყო „ეომარი“,

და აუხირდა ჰაფეზს¹ საადი²,

ნაბახუსევი ჩანდა ომარიც³,

წამით შეჩერდა დრო და

საათი.

1959

¹ ჰაფეზი – 1320-380

² საადი – XIII ს.

³ ხაიამი – 1042-1122



ცა ვარსკვლავებს იცინის,
მაგრამ ერთი მნათობი,
ბროლის ფსკერზე ტეხურის,
მოჩანს,
ვითარცა კბილი,
ძირში გადატეხილი.

2019



ეს კოლხური სანახები,
ახლა თითქოს და მუნჯია,
მაგრამ... ერთად დამიიტრებს,
ხმამაღლა და მოწყალებდ,
სკვია,
წყაბუ
და მუნჩია,
წინწყარი და,
ხობწყარი.

2018



ორივე

ყოფნაც და არყოფნაც,
ორივე სასჯელია!
ორივეს სუნი სდის
და მოიშმორებს,
ვით უბნობს ხან საფო,
ხან აკია:
ორივე ზედმეტი ხაბაკია,
ჯობია,
რაც აღრე მოიშორებ.

2018



მადრიგალი

მ. გ. - ს

ისე, ვით მდინარე ზღვას,

სიცოცხლე,

სიკვდილს ერთვის,

/ხოტბამ დაგასხა რეტი/

რადგანაც იცი რომ ჩემთვის,

სიცოცხლე ხარ და....

მეტიც...

2009



ღაჟო, ოგოფი

გზას მოვსდევდი მაცხოვრის,
ეშმაკი კი მაცდუნდა,
ღამის კართან –
მოფოფრილს.

მაგრამ მე მაფშალია
(ღაჟო) მყავდა
მაცნედ და
სოლომონს კი ოგოფი.

1959



სული

გასაფრენად მზად არის,
მაგრამ, როგორც ალბატროსს,
ყოფნის დიდი ფრთე უშლის;
გასაფრენი ჩიტივით
სულს –
მიმალულს სხეულში.

2018



ქართული, მებრული, სვანური

ათი ათასწლეული,
ოქროს ტოტი ერხევა,
ცვივა ოქროს ნაყოფი –
(დიდგორი და მარტყოფი.)
მეგრულ ენას,
სვანურ ენას –
ქართულ ენის ხერხემაღს.

1971



კლევაი საკვირველი

ლოცვის ყველა ტაძარი,

გახლავთ სვეტიცხოველი,

დედის შეკვივლება კი –

გაელვება არ ყოფნის.

და შენთვის დღე ყოველი –

„კლევაი საკვირველი“ და...

არის ველი მარტყოფის.

1970



ალ-ჰურჰურ (ოფოფი)

როგორც აღარ დაიშლის

ძადლი ყეფას:

– ოფისი!..

ისე, შენ, ვით დარვიში¹,

ამბობ და მრწამსს

არ იშლი:

„ – ჩვენში სახლობს ოფოფი“.

1959

¹ პალესტინელი მისტიკოსი პოეტი.



სიმორღი

ფრინველთ მეფის „სიმორღის“,
პოვნის იმედს ატარებ,
ვით პოეტი ატარი.
თუმცა მისი მხილველი,
არ ყოფილა სულდგმული!
მხოლოდ ისდა იციან,
რომ მას დარჩა
ფერადი –
ერთი ღერი ბუმბული.

1973



უცხონი

ვინც თქვა: ციდან ვართ მოუსული,
მას წინაპარი ვუცხონე...
და მსურს სამყაროს
ვაუწყო:
დედამიწაზე ვართ უცხო!!!
„კუროთხეულ იყვნენ უცხონი“¹

1960

¹ შტეფან ვაიდნერი – გერმანელი მწერალი.



ოსეზ მარწკინიეზი

როცა სასაფლაოზე მწუხრი ჩამოდგება და,
წასვლის ზარი დარეკავს!
წამსვე მარწკინიეზი.¹
ხსოვნის ფარნებს ანთებენ,
მერე მიცვალებულსთა სულებს –
სამოთხისკენ –
წკვარამ გზას უნათებენ...

2017

¹ მარწკინიეზი (მეგრ.) – ციციანთელები.



ხილვა; ალა-მაჰმად-ხანი (1795 წ.)

ურჯულონი თბილისის,

აღსაგლის კარს აღებენ!

/ომი დაუსბამო.../

და ვჭკერეტ: ალა-მაჰმად-ხანს,

ხმალშემართულს კრწანისთან,

გმირთა სისხლით ირწყვება,

ორთაჭალის ბაღები

და...

გოგირდის აბანო.

1965



მაკთული სუჰრაჲარდი

ქათქათას და გედის ყელას,
ვით ამშვენებს აღმოსავლურ
სურას ვარდი,
ისე შვენის მეთორმეტე საუკუნეს
იგაგები –
არაბ მაკთულ სუჰრაჲარდის.

1968



სამხრეთი საქართველოში

მთა შემოგვხვდა ციკლოპივით,
ცალ თვალად ტბა –
მოუხანდა თავფარავნის.

ხელს გვიქნევდა ახალციხე
და აწყური,
წამს იქუხა...

შეიყარა ღრუბლები
ცის დამფარავი.

და....

მერე ცამ დედამიწა
დაარწყულა.

1960



დღე და ღამე პირსა გებანს
მზის და მთვარის
ემბაზით,
ჩვენ კი დედამიწაზე,
მაინც ვრჩებით
„უცხონი“.
და ნიადაგ „ნათელში“
ვფიქრობთ დაბრუნებაზე.

1967



წარსული

წლები ხსოვნის კარიდან –
ფეხაკრეფით გადიან,
ვერ აკავებთ ღობე ცის.
მივიწყებულ ჩვენს წარსულს
ვჭკრეტთ თვალსველს და
დარდიანს.
ჩვენსკენ კისერ მოღრეციღს.

1969



ამაღლება

*„მიდიხარ?! ისევ მიგვაქვს წვალება.“
გალაკტიონი*

ასეა:

აქ ცოცხალ პოეტებს,
არ თვლიან ძაღლებად!!!

შენც ასე! – /ვით მაკედონელი/
მიდიხარ შიშველი!
და მერე...

ცად „ამაღლებად“,

სიცოცხლე კი არა!

სიკვდილი გიშველის!

2014



1000 ზანქარი

*მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
ოცდამეათე ტომზე*

გესმოდა მნათთა გალობა,
გედგა წყვიდიადის ნათელი,
ხან წვიმა იყო,
ხან ქარი.
და... მაინც უფლის წყალობით,
სულ „ბიხოკამდე“ გათელე,
ათასზე მეტი ფანქარი.

2018



ოსკვ „კოლხური ფსალმუნები“

უფლისგან ნაწყალობელი –
სივრცვა თვალშეუვლები,
და...
„კოლხური ფსალმუნები“ –
დედო ზარის შემოკვრაა,
რომლის ხმაზე ცოცხლდებიან –
ჩვენი დიდი წინაპრები,
მკვდარი ათასწლეულები...

1989



ლაპაღა

თენდება და წყაროები,
კვლავ იწყებენ ჩუმაღ ღიკლიკს,
მთებს ნათელი ირგვლივ
მოსავთ,
დღე, მზეს, როგორც ღამის
შიკრიკს
ელის, ვითა სოლომანი
თავის ოფოფს –
გვირგვინოსანს.

1986



ხილვა: მერკური, პლუტონი

მშობლიური ცა გიქნევს
მთვარის ვერცხლის
ტიარას,
რადგან დედამიწაზე
არავინ გყავს მოსაყდრე!
და... მერკურზე¹ კი არა,
პლუტონზე² ხარ მოსახლე.

2018

¹ მერკურამდე – 160 მილიონი კმ-ია.

² პლუტონამდე – 6 მილიარდი კმ-ია.



ლოდი60

არ ჩანს ჯუჟუ,

ჯეკე

ოფა!

ეტყობა, რომ დამაშვრალებს,

მოსწყინდა ამ სოფლად

ყოფნა.

და წარსულთან ერთად ყველა...

... რვა და-ძმისგან არვინ მივის

და... სიცოცხლეს სულს ვუბერავ –

ველი ცეცხლის მამლის ყვილს.

2019



ეა-ენქის სამეფო

პონტოს სანაპიროზე,

მე კოლხეთში მეგულის,

ეა-ენქის¹ სამეფო,

წყლები „განჭაბუკების“ –

აბზუ-აფსარ-

ენგურის.²

¹ მთავარი ღვთაება – შუმერულ-აკადურ მითოლოგიაში.

² მიწისქვეშა მტკნარი წყლების ღმერთი.



ერგასი

დღეს ერგასი¹ მოინავლა,
რაც სიმღერა მესმის გედის
და მწუსრიდან –
რიჟრაჟამდე,
მიაგორებ ცაზე მთვარეს.
ვით სიზიფეს,
შენც გცდის ბედი,
უპოვარს და
უვაიჭარეს.

1991

¹ ერგასი – 50



მეცხრის ცა

მოსვლის დღიდან გესმოდა
ხმა მტრედის და
მერცხლისა,
მაცხოვარის გოდება
და ჩხრიალი ვერცხლისა...
ბოლოს ყველა მიწუნარდა,
უხმოდ ჩამოგეცრიცა –
„ფიროსმანის ნახატი,“
შენი წილი –
მეცხრის ცა¹.

1991

¹ ვაჟა ეგრისელი რიგით მეცხრეა, შვიდი ძმა და ორი და..



ჰეფესტოს ხელით ნაჭედი
და ზევსისგან ნაბოძები,
ცის მინდორზე –
დამის გზისპირ,
ოქროს სვეტად აღმართული –
ვარსკვლავების
დგას ბოძები.

2018



კოლხეთის დიდ წარსულიდან,
ისევ მომესმის კვნესა მე,
სამშობლოდან შორს –
დევნის.

ტივლატ-პილეს მესამის,
სულუმად მილიდელივით.

1960



დალი და სულკალმასი

სიყვარული მშობლიური,
აღბათ მთებმა უკარნახეს,
რომ იპოვონ სამართალი,
და... სვანეთში ხმობს ამირანს
დედა-დალი,
ვშავში მამა –
სულკალმასი.

1960



მესა

ტალღა ხელგაპყრობილი,
 უღმერთობას ცას შეჩივის...
 სივრცეს ღებავს მესა ინად.
ზღვა ქარის თმებაჩეხილი,
 მოჰგავს ცბიერ
 მესაღინას¹.

1964

¹ რომაელი იმპერატორის კლავდიუსის მესამე ცოლი.



სვანი მეტივეები

სვანეთის ცხრა წყაროდან,
ცხრავე სვანი მეტივე,
ძირს დაეშვა ცხრატივით.
(მთები გამოეტირნენ)
დატრიალდნენ ცხვანტივით.
სინჯეს ორთაყვირები
და როცა ზღვა იხილეს,
ცხრავემ სიხარულისგან
ერთად მორთო ყვირილი.

1954



დიონისე მთეუზი

/გარიანტი/

ქალწულ ცას მზით მოღიმილეს,
თითქოს გრგვინვა ესმა მესის
და მთები რომ შებარბაცდა,
– მიწა იძრა?!

– არა!

მთვრალმა დიონისემ
წაკრა ფეხი.

1955



ცა

წამით არ ხუჭავს თვალებს,
სახეს სიშორით იშრობს,
რადგან აკვანში უწევს –
ცას,
თავის ორი პირმშო,
ღღისით – მზე,
ღამით – მთვარე.

1953



ღაროს – I

რომაელებს ქართველი
ორი იმპერატორი¹
ესვა მოლად საკვირველი,
ასევე სპარსელებსაც
ჰყავდათ თურმე ხელმიწედ –
ჰერეთელი (კახელი)
ღაროსი – პირველი.

1962

¹ ღაროს-I – (522-486)



წიგნი

სიტყვა – ქარიშხალია,
მძინვარ ზღვებს რომ
არწევენ...

(ძალუძს მოებიც აყაროს!)

წიგნი – არის სამყარო –
ვარსკვლავებით ნაწერი.

1960



ზიზი

უსვამს და უსვამს

მთვარის შალაშინს

ღამე,

დღეებს კელავ აშალაშინებს,

და ერთადერთი მე ის მაშინებს –

ამ წუთისოფლად მოსვლის

წამიდან,

რომ ჩვენ სიკვდილის

უწყვეტ რიგში

ვდგებით მაშინვე.

2018



ბიბლია

სსონა ათასწლეულების
მოგიშვია თმა-წვერივით,
კაცს ბრძენსა
და იღბლიანს,
მნათთა ოქროს ასოებით
დაწერილი –
შენ ხარ წიგნი...
ბიბლია.

2018



პოეზიები

სინათლიდან ნაშობნი,
ბნელში გზას ვერ იგნებენ!
აღევთ დღეთა ხუნდები.
ჩვენ, ვით პოეზიები¹,
არყოფნიდან მოსული.
უკანვე,
შინ ვბრუნდებით.

1964

¹ პოეზიები (ინგლ.) – შინ დაბრუნება.



ობელისკი

ამბობენ: „უამი მოალის“,
გაიფანტება ეს ნისლეები!
და მყინვარწვერზე იხილავთ
მგოსნის ცად აწვილ
ობელისკს!

ვინ ნერუს!
ან ვინ ნობელის!
პირველი ჯილდო იქნება
ეგრისელის!

2018



მწუხრი მკერდს რომ გაიღვდავს,
გამონჩნდება ბნელში მთვარე,
ვით პორტალი¹,
შეღებილი შიშის ფერად,
ცა გაიხდის ღამის პერანგს,
ვარსკვლავების ნაძიბგნი და
ნაკორტნალი.

2010

¹ პორტალი (ღათ.) – ალაგვ, კარი, ჭიშკარი



ოქსიმორონი

საესეს სიცოცხლით და
სიყვარულით,
ათასრაიმეს გიგონებენ:
თითქოს და შენი პოეზია,
ტყე და გაუვალი კორომია.
„მჭერმეტყველური“ შენი სტრიქონები,
ვითომც და ოქსიმორონია¹.

1966

¹ ოქსიმორონი (ბერძ.) – მახვილგონივრული, სულელური.



ვარსკვლავთა სასაფლაოზე,
მთვარე შიშველი ნახევრად
იდგა მესნაკრავ
ცაცხვივით,
და მერე მოულოდნელად
დააცემინა ცამ ცხვირი
და ელვა ამოახველა.

1954



სოფელში

ოცი წლის არა,

სამოცის მერე,

მოგონების კვლავ ირწევს ტოტი:

მწუხრია....

დედა მოუხმობს ღორებს:

– ეეინწ!...

ეეინწ!..

და მეჩვენება ტყით გამორბის

ღორების კოლტი.

2016



ღღე – სიზიფე

მზე – ცეცხლის ქეაო! –
ამბობს თაგორი,
და ღღემ – სიზიფემ,
ყოველთვის დილის ცაზე
უნდა ააგოროს!

1963



თავს ახლიან ნაპირს ზღვები:
ღამეები მწვერებივით
შენს ნაკვალევს რომ მისდევენ,
ერთად როგორ აუშვიო!
და დღეებიც შენს იმედებს,
ჩიტებივით რომ კენკავენ,
ხელი უნდა აუქშიო!

2018



წუხილი

„ქრისტეს მხედარს კოლხეთიდან“,
დღეს სამშობლო წართმეულს!!!
ჩემს თბილისში ბორიას,
მირჩევნია ჯანდაბა და...
მასთან –
ჯაქვებორია...

1965



როცა კრწანისთან ჩავივილი,
სმა მესმის ხმალთა კვეთების!
/აიშლებიან ფიქრები.../
ო, ალბათ არაგველები,
იქაც აღას სპას ებრძვიან,
სამარეშიც ხმლებს იქნევენ...

1954



მეაკვნე და მეღახხირე

შორეული წარსულიდან,

ვითა მაცნე შენ მოხვედი!

/დიდაშ ნინა სი გარჩქილე¹/

რადგან შენ ხარ –

ძველ კოლხეთის,

მეაკვნე და მეღახხირე².

2018

¹ დედის ენა შენ გესმის (მეგრ.)

² მეღახხირე (მეგრ.) – ცეცხლის დამოები.



პროსპერ მერიმე

დარი უდგას მზიური

მას,

ჩემსავით იურისტს –

მწერალ პროსპერ მერიმეს.

ფრანგულ სიტყვის მარეკსა და,

მეშველეს და

მეირმეს.

1968



ხილვა: სპარსეთის მეფე კიროს II

იუდას და ბენიამინის

ტყვედქმნილ გულში –

მზე ივანებს.

და მე ვხედავ მეფე კიროსს¹,

/ქაჯამსა და უცხვირპიროს/

ვით აბრუნებს ქანაანში

ყველა მღვდელს და ლევიანელს.

1963

¹ კიროს II – (559-530).



რა არის კაცის ცხოვრება:

ხან უძილობა...

ხან ძილი....

მაგრამ არავინ არ ფიქრობს,

ბოლოს,

რომ ელის მგზავრობა,

უსასრულო და ხანგრძლივი....

2017



ღრუბლები,

წვიმა,

ვარსკვლავები

წვიმა – მარიამის ცრემლებია...

ღრუბლები –

დარდის მოებია....

ქრისტე – ცაა და....

ვარსკვლავები – ჭრილობებია.

1959



1943

ომი არის გაგანია...

შრომით დაღლილ ძოკოს,

ძიკუს,

დასდით ოფლის ნაკადული.

მე,

კარდალის ფსკერზე მიკრულ

ნახვაწას ქერქს ვაკნატუნებ....

1954



ვეღრეპა

ვითარცა ქრისტე მოველ უცოდველი,
ახლა სიყვარულით მივალ
დაისრული.

და როგორც ლეგენდა,
ანდა ვით ზღაპარი,
მრავალი ნატვრიდან –
ერთიც ამისრულე:
ვით დედანქემი ძილში ჩუმად
გამაპარე!

2018



ბაღჩისარაის შადრევანი

ცხადში,

სიზმარში,

აღარ მსვენებს,

ვინც აღარ მიყვარს მოდის....

არა ის!

და ცას ცრემლების წვიმით

ასველებს,

ვით შადრევანი ბაღჩისარაის.

1956



კახეთში

სავსე სიცოცხლით და
სილამაზით,
შემოგვეფეთა ველი ალაზნის,
და სანამ ელვა ბნელს გაბაწრიდა,
კენესის ხმა მესმა შორი
წარსულის!

მაგრამ უცრად კახეთის ცის –
ლურჯ აბარწიდან,
მოვარე გადმოდგა,
ვით წინანდლის ტურფა ასული.

1963



ხორბის სასაფლაო

საიდანღაც ხმები ისმის,
ხსოვნას მოაქვს ოხვრა –
ელღად,
თუმც საფლავის არ ჩანს ბორცვი,
მაინც დედის ვისმენ
ლოცვას,
შუახორგის ოხვამედან.

2018



ოქოთოფე

ვარსკვლავების ნაკვერჩხლებზე –
მთელი ღამე დღეებს გვიცხოვს
მზე და მიჰგავს ოქროს თონეს
და ჩვენც ამის გამო გვიყვარს!
სიცოცხლეა – ოქოთოფე¹,
სიკვდილი კი ხელს შეყოფს და
როცა უნდა გამოგვიყვანს.

2018

¹ ოქოთოფე (მეგრ.) – საქათმე



მიდიანელი,
ლამბერტი,
კასტელი

სამეგრელო შეიყვარეს
და... კოლხეთი
„დაბერდნენ.“
ჯონ ჯუზეპე¹ „დუდიე“ და
კასტელიც² და
ლამბერტიც³.

^{1,2,3} – იტალიელი მისიონერები (XVII ს.)

p. s.

1. ჯონ ჯუზეპე „დუდიე“ – (მეგრ.) თეორთავა. მიდიანელის წიგნი: „წერილები საქართველოზე“.

2. არქანჯელო ლამბერტის წიგნი: „სამეგრელოს აღწერა“.



ყოვნა

*„ყოვნა, არყოვნა, საკითხავი აი, ეს არის“
შექსპირი*

ვითა იესო,

შენს ჯვარს და ლოდს

მიათრევ მძიმეს...

ისევ ისე წერ, ვითარცა წერდი.

და ყოვნას უსვამ

ხშირ-ხშირად მძიმეს,

სანამღე თვითონ დაგისვამს

წერტილს.

2018



ბათენეპა

ღამეს ოქროს მნათობებით,
პირთამდე აქვს სავსე
უბე.
თავს იწონებს ცა – ქალწული,
დასაველეთით მიჰყავთ
ღრუბლებს
მთვარე ეღვით გაბაწრული.

1954



ვეღრება

„სხვამან მიიღოს სკიპტრად,
სხვასა შეუდგნენ სპანი,
მაშინ შემიწყალენ მსაჯულო ჩემო!
დავით აღმაშენებელო“.

ლეგენდიდან მოსულების,
ვარ მეფეთა ნაშიერი,
ვითა ქუჯი,
ფარნავაზი
და ადერკი,
სკიპტრას არ გოხოვ
ჟამს განკითხვის,
მზეთამზეო! –
ნუ მამყოფებ
თავდადრეკით!

2015



**ხილვა: ჰერეთი (გვ. 7. მეორე
ათასწლეული)**

ჩამომდგარა სულ სხვა ერა,
ჰერეთსა და
კამბეხოვანს¹.

ასპიროზი² ჯერაც არ ჩანს.
და „ვეშაპებს“³ დაცქერს ჰერა⁴:
კირს⁵ და კამბისა⁶
და არშანს⁷.

1962

-
- 1 კამბეხოვანი – ქიზიყი,
 - 2 ასპიროზი – მაცდური არსება,
 - 3 ვეშაპების კულტი,
 - 4 ჰერა – ქართული წარმართული მზის ღვთაება,
 - 5 კირი – მტკვარი,
 - 6 კამბი – იორი,
 - 7 ანშანი – ალაზანი.



მთვარე,

ვარსკვლავები

მზე...

მთვარე და სხვა მნათები,
დიდი და პატარა ღმერთებია.

ვარსკვლავები კი –

ანგელოზებია, –

მიცვალებულთა სულებს –

ღამეს რომ უნათებენ...

1961



სიზიფე

ღმერთებისაგან უღვთოდ
დასჯილი,
შენ ხარ სიზიფე –
მეფე ტიტანი!
და დედამიწა, ვითარცა „ის ქვა“,
მხოლოდ შენ ძაღვიძს
მეცხრე ცაზე რომ აიტანო.

1960



სიმშვიდე

კოლხეთში რომ გეგუღვის
ოქროს თასი გრაადის,
მიტომა ხარ ჯერ მშვიდი,
და „კოლხურ ფსალმუნებში“
სიბრძნე არის ჩაღვრილი:
ჰერმეს მეგვიპტელის და
დიდ ხელმწიფე ჯემშიდის¹.

1961

¹ პერსეპოლისისი ამშენებელი (ეგვიპტე).



შენ, ვითარცა პარციფალს

რადგან ძველი კოლხეთის –
ქრისტეს სისხლით დანამულ
მიწასა და

ცას იცავ!..

და ღმერთებთან დავისთვის,
შენც,

ვითარცა პარციფალს,
გერგება და

გეკუთვნის:

თასი,

შუბი – გრაალის,

ჯადო – ხმალი დავითის!

1993



უზგულო

აქ – ცა ისე ახლოა,
შეგიძლია, რომ შესდგე,
ჩუმაღ ფეხისწვერებზე
და კაბადონს უსგულის –
ჩამოკრიფო მერიცხი¹,
უშქარი და ურიცხვი,
ვით კველდელა უშქული².

1956

¹ მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.

² კვეტელა უშქური (მეგრ.) – პანტა ვაშლი.



სამი ვარსკვლავი

შორით მომავალ დღის მომლოდინე,
მთვარე,
თითქოს და დევის ქალია
და ცრის სიშორეს –
მთვარის საცერით.
ცას კი მკლავებზე
სამი ვარსკვლავი,
ატყვია ისე,
ვით ანაცერი.

1958



სორბა

პარას ჭალაში ჭრიჭინა უკრავს...
/ვით გრამაფონი ჩანს
მომღილი/
ტალახიანი აცვია შუკა,
ჩემს ღამაზ სოფელს –
კალოშივით.

1958



ისევ სოფელში

ხსოვნის პატარა ტოტი ქანაობს
სულ სხვა ჟინით და
აკვიატებით:

თოვს...

და სკვიასთან¹ –

მოგონების ვზივარ კარავში,

თოფი ჩახმასზე მიყენია,

მაგრამ ამოდ!

მხოლოდღა დვაატ!..

დვაატი!..

მესმის კვატების!

2017

¹ სკვია – პატარა დელე სამეგრელოში.



სიკვდილი – სიცოცხლე

დასაბამიდან გრძელდება დავა:

/ორივე სწორია,

ვით სამართლის მცოდნეს

რომ მკითხონ/

სიცოცხლე – ყოფნას!..

სიკვდილი კი არყოფნას ითხოვს!

2001



მთვარე სნეული

შორს,

სადღაც,

იქით ათასწლეულის,

ელვა, ხმლის კროთმას მოჰგავს

გუთების.

სპეტაკ ღრუბლებში წევს სიყვითლით

მთვარე სნეული...

და ვარსკვლავები –

ღამეს უთევენ...

1969



ყოფნა, არყოფნა

ყოფნა ფლიდია!

არყოფნა კი სალი კლდე არის,
ჩვენ მაინც ყოფნის ყორეს
ვედებით.

გადაიფრენენ ეს დღეები
დამფრთხალ მტრედებად.

აი, ამიტომ,

სიცოცხლის არა!

სიკვდილის უფრო მიიმედება.

2017



სწინა

საუკუნებს დასავიწყებლად,
 ჟამი მილაღავს,
 როგორც ცხვრის ფარას,
 და არარაობს...
ეგვიპტიდან კი გვინანაგებს
 მთვარის მარალს –
 ბებერი სწინა,
ვითარც ურიცხვ სპათა ფარაონს!

1991



ბრაალის ტაძრები

ღამის ცას,
რომ ანთებს, და
აალებს,
ვარსკვლავები –
ტაძრებია
გრაალის.

1959



პოეზიის რაინდი

წარსულიდან დღეები

მითებსა და

ლეგენდებს,

ფარასავით მოდენის...

და... შენც, „სიბრძნეს ღვთაებრივს“

ეზიარე კოლხეთში.

მერე, ვით პარციფალი

ღირსი გახდი „რაინდის“¹

და „გრაალის ორდენის“.


2015

¹ ვაჟა ვერსელს 2013 წელს მიენიჭა „პოეზიის რაინდის“ წოდება



მოულოდნელად ხმაზე ქუხილის,
გაიბარჯდება სიბნელეში
ელვის ტოტები.
და მის მკრთალ შუქზე გამოჩნდება
სველი ღრუბლები –
მთვრალ დევებივით მთებისკენ,
ვით მიაბოტებენ...

1964



ჩანდა – ღამის უღრანიდან,
მეხი ჩუმად გამორბოდა...
გაკრთა ელვა –
ერთი ციდა
და შენ ნახე ქარბორბოლა,
ზღვისპირ ქვიშას
როგორ ცრიდა.

2005



ვაშინერს

„წმინდაო ღმერთო რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.
გრანელი

უფლისგან ჯვარდაწერილი,
ცისქვეშ შენ ხარ და
შენი კოლხეთი
და „გაჩენაზე“ ფიქრიც „ვაშინერს“¹,
რადგანაც ქვეყნად მგოსნად
მოხვედი.

სიკვდილი არა,
შენ სიცოცხლე უფრო
გაშინებს!

2018

¹ ვაშინერს (მეგრ.) – ტაბუ ადევს, არ შეიძლება.



უძინარი შენი ზღვები,
როგორც ხორგა და
დარჩელი,
გიმზადებენ ბზის ტოტებს!
მაგრამ ლექსი! –
აქ დარჩენის
შანს, წამით არ გიტოვებს!!!

2018



ორი მნათი

გამთენიის ღამის ფსკერზე,
ბრწყინავს მთვარის
ათინათი,
აღარ არის მნათობების
ცაში ტევა...
მაგრამ მათგან ცალკე მღვარი
ორი მნათი,
სამოთხიდან გამოდევნილს
მოჰგავს ადამსა
და ევას.

1960



ოდაბადე

ძველ კოლხეთის ცა და მიწა,
ბევრ ლეგენდას,
პოემას და ოდას¹ ბადებს!
მიტომ მისი სიყვარული
გულზე პირმჭრელ
გორდად² მადევს...
ზღვისპირ მდგარი სამეგრელო –
/საქართველოს მოდარაჯე!/
ჩემი მზე და
ოდაბადე³!

1959

¹ ოდა (ბერძნ.) – საზეიმო ლირიკული ლექსი.

² გორდა – მახვილი.

³ ოდაბადე (მეგრ.) – დაბადების ადგილი.



ომალოში

მთა იდგა და ზამთარს წერდა
და ეჭირა კალმად ხევი,
აღმოსავლეთ-
დასავლეთით,
ცას დააჩდნენ მზის წვეთებად
ვარსკვლავები,
ვით თეთრ არაგვს და
წაჩხურას კალმახები.

1962



შენ სულ სხვახარ ჭირიმე!..

უკვე ორმოცს მიღწეულს,

რა მაქვს გასაკვირი მე,

როს შენ გოლგოთისაკენ –

ქრისტეს ჯვარის ზიდვაში,

სულ ნინველი ბაძავლი –

ნეტარ სვიმონ კვირინელს.

1977



აბაზა

/ექსპრომტი/

აკადემიკოს სერგი საჯაიას

შენი სოფელი აკაფა,

მტერმა და

ავისმოსურნემ,

სცადა და ველარ აჰკაფა!!!

ვერც ვერასოდეს გადახნავს,

წინაპრის ძვლებით მოკირწყლულ

შენს მიწას მათი აგაფა*.

2019

* აგაფა (მეგრ.) – კავი.



**მადამ ბოვარი,
ულისე**

მიწიერ სამოთხის ხარ ერთიან
მფლობელი,
რომელს კრძალვით
უფლის მზე.

/უფლის მონაპოვარი/

ამიტომ არ გასვენებს –
დიდი გუსტავ ფლობერის
ტურფა „მადამ ბოვარი“,
მასთან ჯეიმსს ჯოისის –
მკერდმადალი „ულისე“.

1958



ცაზე მოვარე და კუდიანი
ერთი ვარსკვლავი
გაბრწყინდა უცებ,
/ამირანის/, ვით ფარ-შიმშერი...
ღრუბლების მთები ჰგვანან
ჰიმაღალს.
გამოაჩინა ტანი შიშველი
ელვამ და...
ბნელში წამს მიიმაღა...

2019



(გ. ე-ს)

იქ დაგხვდებიან „მოყვრები“,
ძველებიცა და
ახლები
და დაგვიყრიან ფერხთაქვეშ
ერთად ვარდსა და
იასო:
„სადაც უნ დაიშარხები,
ნეტავ იმ ეკლესიასო“...

1970



ზამთარს ძლივს გამოვადწიე
ქათქათა მთოვარის მარხილით,
ჩემო გაზაფხულო და
ზაფხულო!
თუმცა თქვენს სითბოს და
სიმწვანეს,
ვით წინათ მე ისევ
ვმარხულობ.

2017



ფრთები

გ. დ-ს

„ფრთები, ფრთები გვინდა!“

გალაკტიონი

მეცხრე ცისკენ გაგირბის
ფიქრი სართულ-სართულად...
დათოვლილი ქედები
გეზვენება აფრებად!
ნეტავ სად გაგონილა!
ანდა ქვეყნად –
სად თქმულა! –
ცაში უფრთოდ აფრენა?!

2017



ტუია და რკინის ჯვარი

რკინის ჯვარს მდგარს სამარესთან,
ჩუმად მიაქვს გულთან
დანა,
და ტუია თავდახრილი,
პატარა ბორცვს –
ცრემლად აღვრის:
რეკვიემს და
სულთათანას.

1974



მზეს ყივიან მამლები და
სადღაც მთვარის –
მოჩანს ეშვი.
შორს სიმღერა ისმის მესრის...
თენდება და
ვარსკვლავების ფოხალები,
კვლავ ივსება მეწამული
ოჯალეშით.

1999



მოციქულები

ათწლეულების მერე
ღვთის ტაძარში ვუხმობ
უხმოდ ...
ციურ ემბაზებში ნავლებს,
სულითა და ხორციით
ულევს –
ნეტარ ეფრემსა და
პავლეს –
ციო მოვლენილ მოციქულებს.

1959



ხმა

ათასწლეულების იქით,
რომ გადავა ხმა ქუხილად
და შეაკრობს –
მძინარ ღმერთებს
სწორედ იმ ხმას,
ხმას უხილავს,
აღბათ მალე მოვიხელთებ.

1955



ხილვა: მთვარე

ამოსულა რომ დაახანა,
ფეხმორთხმული მთვარე –
შაჰს¹ ჰგავს
და ქალწული ვარსკვლავებით
ცა – მის ღამაზ ჰარამხანას.

1956

¹ შაჰ-აბაზს სამასზე მეტი ცოლი ჰყოლია ჰარამხანაში.



სამყარო არის ქვიჯა

ფქეავს და ფქეავს ვარსკელათა
დერდილს,
და მოვარე მოჰგავს წისქვილს.
ცას კი არააქვს მიჯნა,
რომელშიც ოცნებები
ინახება.

სამყარო არის ქვიჯა¹,
სადაც დღენიადაგ
მზის ქვით,
ჩვენი სიცოცხლე ინაყება...

1957

¹ ქვიჯა (მეგრ.) – როდინი, ფილთაქვა.



პოეტი

მიწა კვლავ გეპატარება,
წახვალ და ზეციდან
დახედავ
სამყაროს და...
მოსვალ ქუხილად!
შენა ხარ პოეტი
და ხედავ –
ხილულში მირიად უხილავს.

1955



6 000 000 000

აიეტივით შენ ხარ
მზის შვილი
და ვარსკვლავებმა მიტომ
გიშვილეს.

კაცა ლეგენდა,
კაცი ზღაპარი,
მძვინვარ პლანეტებს თავს კვლავ
უტოლებ,
რადგანაც იცი, ბოლოს შენი
თავშესაფარი
მერკური¹ არის, არის პლუტონი².
2012

¹ პლანეტა მერკურამდე – 160 000 000 კმ-ია,

² პლუტონამდე – 6 000 000 000



ვარსკვლავების მაყრიონით,
ცის და მიწის ქორწილისთვის –
მზემ გაშალა
პურ-მარილი,
მაგრამ მათშვა უამს მწუხრისას
მთვარე ჩადგა –
მურმანივით.

1960



წუთშესვენება

მოვალთ და...

გაგვაქროლებენ

შორეთში დღეთა

აფრები...

ვერ გადურჩებით მზის ცოცხებს.

რა არის ჩვენი

სიცოცხლე?!

– წუთშესვენებაა და...

სხვა არაფერი.

2018



2000

დღეს მიიწურა ორიათასი

წელი და...

მაინც არ ჩანს თავადი¹,

არც იოანე დიდი მენცარი²,

და მე უფალო –

„ფსალმუნებით“

გაგითამდი,

ვინმე აჯამი და უმეცარი.

2000

¹ თავადი – ქრისტეს ეპითეტია.

² მენცარი (მეგრ.) – წინასწარმეტყველი



რადგანაც კაცთა ცხოვრება,
ხან ცხადია და
ხან ძილი,
„ადექ ამირან,
ჰქენ მადლი,
ცხენს დაუყარე ღანძილი.“

1955



ბურძღენი

ქვეყნად თუ რამე გეზადა,
შენს „ოქრომრავალ“ დიდ
კოლხეთს,
სულ მარცვალ-მარცვალ უძღვენი.
და ბოლოს დარჩი –
„ცისქვეშეთს“,
ვით ოჯალეშის ბურძღენი¹.

2019

¹ მარცვალ გაცლილი მტევანი



პიპი

ფრთებს ვატოლებდი
ქარს და ქარიშხალს...
ახლა ზღვისკარად
მოეთქვამ და ვკივი!
– მეგონა ვიყავ ზღვის ალბატროსი,
ვეოფილვარ კივი¹.

2018

¹ კივი (ავსტრად) – უფრო ფრინველი



არმუჯი და ახტაშირა

ღვინო მიყვარს ურიოშო,
რომელსაც თან დიონისე –
ღვინის ღმერთი ახლავს ხშირად.
ზედაშე და
ოჯალეში
არმუჯი და ახტაშირა.

2019



ისე, როგორც მარსელ პრუსტი

ზეცა არის ქვიშორი და...

ზღვის ღამეულ

სიშორიდან,

ბედისწერის მოსვლას ვუცდი.

და... „დაკარგულ დროს

დავებ“.

ისე, როგორც მარსელ პრუსტი.

2018



სცილა,
ქარიბდა

*მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
ოცდამეათე ტომზე.*

როცა წვალეებით გაიარა
სკილა¹,
ქარიბდა²,
გახდა მდიდარი...
აყალ-მაყალი
არავითარი,
სხვა გაღარიბდა!!!

2018

1 2 – ორი ურნხული ბერძნულ მითოლოგიაში, რომლებიც ბინადრობდნენ იტალიასა და სიცილიას შორის არსებული სრუტის ორივე მხარეზე და ღუპავდნენ იქ გავლილ მეზღვაურებს...



სიცოცხლე –
გაღიაა სულისთვის,
მოვა სიკვდილი და
გამოუშვებს.

2001



ჯოკონდა

რა იცოდა ლეონარდო
და ვინჩი,
რომ უწყინარ ჯოკონდას,
მისთვის –
მარადისობის
სიყვარული მოჰქონდა.

1966



მარტი

გაზაფხულის დილის კართან
დგას მარტი და
უხმობს აპრილს.
ეფარება ღამეს მკერდით.
მნათთა ოქროს ასოებით
ნაწერ ცას კი,
ელვა უცებ გადაჩხაპნის
და დაუსვამს საცირსხელა
მთვარის წერტილს.

1964



ფრესკები

შენი დღეები და ღამეები –
მარადისობის ხეებზე
ჩამომსხდარი,
მგალობელი მაფშალიები და
ზესკეებია¹.
შენი „კოლხური ფსალმუნები“ –
საარის გამოქვაბულის
ფრესკებია.

1987

¹ ზესკვი (მეგრ.) – შაშვი.



სარჩევი

პლუტონი, მერკური.....	25
***ადამიანის ცხოვრება კი.....	26
ორბიტები.....	27
მესამე ათასწლეული.....	28
***რაა სიცოცხლე!.....	29
წინაპარი.....	30
„ბედნიერი ვარსკვლავი“.....	31
***სიყვარული მამაულის.....	32
ზღვა.....	33
მზე და მთვარე.....	34
ფშავ-ხევსურეთში.....	35
ქართველები.....	36
ბედისწერა.....	37
მორჩილი.....	38
ქუჯისა და ფარნავაზის.....	39
რწმენა.....	40
***სიბერიდან თუ შორ-წარსულიდან.....	41
***ადამის ძეს ყოველივეს.....	42
პეგასი.....	43
შრომა.....	44
მწუხრი.....	45

ურწმუნოები.....	46
ღრუბლები.....	47
***დასაბამიდან ასეა:.....	48
არჩევანი.....	49
მოტაცება.....	50
ფანტელები.....	51
პოეტის ახირება.....	52
მტკვარი.....	53
ციცინათელა – სულია ადამის.....	54
შეგრაცხავენ წმინდანად.....	55
ხილვა: ენგურთან.....	56
ღმერთი და ბიბლია.....	57
ხილვა: სპარსთა ლაშქრობა.....	58
ცას მიაღვი რწმენის კიბე.....	59
ნეპტუნი და ურანი.....	60
ქალდეელები ლაშარში.....	61
არმაზის ბილინგვა.....	62
***თეთრი, სიფრიფანა ნისლი.....	63
მეცხრე.....	64
ჰეი!.....	65
სიცოცხლე, სიკვდილი.....	66
***რადგან მოკლეა წუთისოფელი,.....	67
სამი რაინდი.....	68
***აირია ქვეყანა.....	69

წარმართ კოლხთა დღეთა კალენდარი.....	70
აქილევსის და ატილის.....	71
მარწკინიები	72
ია	73
ქანაანში	74
***ცოდვილ დედამიწაზე –	75
საყვედური	76
მოგონილი	77
***ქარიშხლის ფრთების ტყლაშუნზე.....	78
ოფოფი.....	79
მეგრულ ყებურსა და კველას.....	80
***შემოუსხდნენ მთვარის კუბოს.....	81
ხილვა: გაბონი, იალონი	82
***სადღაც ისმის ხმა მაცილის	83
დაღუპვა თარაშ ემხვარისა.....	84
თაეი შენი შეიცან.....	85
***გახმება ენა	86
სამეგრელოს მეხუთე დაღაშქვრა	87
ქვევრი შროშასთან.....	88
***ათასწლეულების იქით –	89
ცა – ქრისტეა.....	90
***მარტი მარტობს.....	91
ისევ კოლხეთი.....	92
***შორი გზიდან მოსულმა.....	93

***ბრძენი იყო.....	94
***მეხის ხმაზე ღრუბლები კი	95
ხსოვნის მზე.....	96
პოეტი.....	97
ზღვა და ხმელეთი.....	98
***წარსულიდან ენგურს პეშვით.....	99
***დედამიწაზე დაუტვარი.....	100
***„წყალნი წავლენ დაწამოვლენ.....	101
მეცხრე.....	102
***მოყაყანე ზვირთებს შორის	103
ნილოსი და ამაზონი.....	104
***მთვარე, თითქოს მოცარტია,.....	105
ეჰეი! ეჰეი! ოჰო! ოჰოო!.....	106
ლტოლვა.....	107
მთვარის დროშა.....	108
***სიბრძნის გზაზე –	109
მწუხარების თემა-წვერი.....	110
იმედი	111
გაზაფხული.....	112
მწოლიარე ლექსები	113
ყაჩაღები /„ვაი მეცნიერები“/.....	114
ყვავილნარი.....	115
ხილვა: ემილ ზოლა, ემილ დიკინსონი.....	116
ბედისწერა.....	117

გიომ აპოლინერი.....	118
იმედი	119
70	120
***გაკრთა ელვა მწვევარივით	121
***კონტოს აკენით ნარწევებს.....	122
ნიჭი.....	123
***შორს მიმავალი ათასწლეულის.....	124
***დღისით – მზის დამწყურველო.....	125
სილვა: ხაიამი და ჰაფეზი.....	126
***მწამს, მოგწყინდა ჯოჯოხეთში.....	127
მთვარის აქანდაზი	128
მონოსი და ხობოსი.....	129
კვამლი.....	130
ზოგ-ზოგებს.....	131
იმედი	132
სასაფლაო	133
გალაკტიონი	134
კოლხეთი 22-ე საუკუნე.....	135
***რადგანაც ცბიერ საწუთროს.....	136
იმედი	137
დისტიქი ანუ ორი ლექსი გალაკტიონს.....	138
*** ლეგენდიდან გადმოსული.....	139
სარმა	140
მზე და მთვარე.....	141

ხილვა: ხაიაში, საიდი, ჰაფეზი	142
**ცა ვარსკვლავებს იცინის,	143
***ეს კოლხური სანახები	144
ორივე	145
მადრიგალი	146
დაბრუნება	147
ერთი დღე	148
ღაჟო, ოფოფი	149
სული	150
ქართული, მეგრული, სვანური	151
ძღვევაი საკვირველი	152
აღ-ჰუდჰუდ (ოფოფი)	153
სიმორღი	154
უცხონი	155
ისევ მარწკინიები	156
ხილვა; აღა-მაჰმად-ხანი (1795 წ.)	157
მავთული სუჰნავარდი	158
სამხრეთ საქართველოში	159
***დღე და ღამე პირსა გვბანს	160
წარსული	161
ამადლება	162
1000 ფანქარი	163
ისევ „კოლხური ფსალმუნები“	164
ლაკადა	165

ხილვა: მერკური, პლუტონი.....	166
ლოდინი.....	167
ეა-ენქის სამეფო.....	168
ერგასი.....	169
მეცხრის ცა.....	170
***ჰევესტოს ხელით ნაჭედი.....	171
*** კოლხეთის დიდ წარსულიდან,	172
დალი და სულკაღმახი.....	173
მესა.....	174
სვანი მეტივეები.....	175
დიონისე მთებში.....	176
ცა.....	177
დარიოს – I.....	178
წიგნი.....	179
შიში.....	180
ბიბლია.....	181
ჰომინგები.....	182
ობელისკი.....	183
***მწუხრი მკერდს რომ გაიდევავს.....	184
მტკვარი.....	185
ოქსიმორონი.....	186
***ვარსკვლავთა სასაფლაოზე.....	187
სოფელში.....	188
დღე – სიზიფე.....	189

***თავს ახლიან ნაპირს ზღვები:.....	190
წუხილი.....	191
***როცა კრწანისთან ჩავივილი.....	192
მეაკვნე და მედაჩხირე.....	193
პროსპერ მერიმე.....	194
ხილვა: სპარსეთის მეფე კიროს II-ზე.....	195
***რა არის კაცის ცხოვრება:.....	196
ღრუბლები, წვიმა, ვარსკვლავები.....	197
1943.....	198
ვედრება.....	199
ბაღჩისარაის შადრევანი.....	200
კახეთში.....	201
ხორგის სასაფლაო.....	202
ოქოთომე.....	203
***ბალახს დაექებ „განჭაბუკების“.....	204
მოდინელი, ლამბერტი, კასტელი.....	205
ყოფნა.....	206
გათენება.....	207
ვედრება.....	208
ხილვა: ჰერეთი (ძვ. წ. მეორე ათასწლეული).....	209
მთვარე, ვარსკვლავები.....	210
სიზიფე.....	211
სიმშვიდე.....	212

შენ, ვითარცა ფარციფალს.....	213
უშგულში	214
სამი ვარსკვლავი.....	215
სორგა	216
ისევ სოფელში	217
სიკვდილი – სიცოცხლე.....	218
მთვარე სნეული.....	219
ყოფნა, არყოფნა.....	220
სფინქსი	221
გრაალის ტაძრები	222
პოეზიის რაინდი.....	223
***მოულოდნელად ხმაზე ქუხილის.....	224
***ჩანდა – ღამის უღრანიდან.....	225
ვაშინერს.....	226
***უძინარი შენი ზღვები.....	227
ორი მნათი	228
ოდაბადე.....	229
ომალოში.....	230
ქარიშხალი ზღვაზე.....	231
***შენ სულ სხვა ხარ ჭირიმე!.....	232
აგაფა.....	233
მადამ ბოვარი, ულისე.....	234
***ცაზე მთვარე და კუდიანი	235
***იქ დაგხვდებიან „მოყვრები“.....	236

***ხამთარს ძლივს გამოვადწიე.....	237
ფრთები.....	238
ტუია და რკინის ჯვარი.....	239
***მზეს ყვიან მამლები და.....	240
***შურობუმუ დო ოდაბადე.....	241
მოციქულები.....	242
ხმა.....	243
ხილვა: მთვარე.....	244
სამყარო არის ქვიჯა.....	245
პოეტი.....	246
6. 000 000 000.....	247
***ვარსკვლავების მაყრიონით.....	248
წუთშესვენება.....	249
2000.....	250
***რადგანაც კაცთა ცხოვრება.....	251
ბურძღენი.....	252
კივი.....	253
არმუჯი და ახტაშირა.....	254
ისე, როგორც მარსელ პრუსტი.....	255
სცილა, ქარიბდა.....	256
***სიცოცხლე – გაღია სულისთვის.....	257
ჯოკონდა.....	258
მარტი.....	259
ფრესკები.....	260

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 10

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 10

გამომცემლობის

რედაქტორი

– სოსო სიბუზა

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუშუბაძე

კორექტორი

– იამზე რობაქიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ება და დავით ჯიფშელაძეები

გამომცემელი – ზურაბ დოღვაია

ფასი 20 ლარი

თბილისი

2019



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com